ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**20 მარტიდან!**
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
**ქაქუცა ჩოლოყაშვილი**
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ხუთშაბათი, 21 მარტი, 2013 №67 (6068) ფასი: 30 თეთრი

# დავით უსუფაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე ვერ გავა“

გვ.3





## აკაკი მინაშვილი: „ანი მიროტაძისთვის არ შემიგინებია“

გვ.3



## ლაურა ღაჭავას და დავით კოდუას 600 ათასი, ხოლო ცეზარ ჩოჩელს 300 ათასი ლარის გირაო დააკისრათ

გვ.5

## „ნუგზარ წიკლაურს ქართულ ჯარზე ლაპარაკის უფლება არა აქვს!“

გვ.3





გვ.4

## სალომე ზურაბიშვილი: „ჩემს თავს ვხედავ ყველგან, სადაც არის საქმე“

რომელ სამინისტროს ჩააბარებენ ექსმინისტრს?



## ჯონდი ბაღათურია: „20 აპრილიდან სააკაშვილი სახიფათო გახდება“

გვ.2

## პეტრე მამრაძე: „ეჭვმიტანილების გირაოს ნაცისტები იხდიან თავისი „ობშჩიაკიდან“

გვ.5

**15 მარტიდან!**
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




**13 მარტიდან!**
„ახალი თაობა“
+
**შექსპირი**
8 ლარი




ISSN 1987-9385

6 ჯავახეთში სეპარატიზმის საფრთხე არ არის

7 ქართულ ბაზარზე კოლიბაქტერიებით დაბინძურებული კარაქი იყიდება

6 ე.წ. თურქი-მესხებისთვის დაბრუნების პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული უნდა იყოს

2 ვანო მერაბიშვილის დედის საქმიანობას მთავარი პროკურატურა სწავლობს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჯონდი ბაღათურია: „20 აპრილიდან სააკაშვილი სახიფათო გახდება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან



***— ბატონო ჯონდი, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩვენ მოვისმინეთ პრეზიდენტის პოზიცია. თქვენი აზრით, რა ხდება, რატომ დააყენეს ასეთი ულტიმატუმი და მოითხოვენ სარეიტინგო კენჭისყრას?***

— მათ ახლა უნდათ ძალის დემონსტრირება, რომ ჩვენ ერთიანები ვართ და ჩვენს გარეშე ვერ გაგაქვთ, გვთხოვეთ და გაგატანინებთ. დაახლოებით ასეთი პოზიცია დააფიქსირა, თუმცა როგორი კომიკური საფუძვლებიც არ უნდა დაუდოს სააკაშვილმა ამ კონსტიტუციური ცვლილებების მხარდაჭერას, პრინციპში მხარს რომ დაუჭერენ ამ ცვლილებებს, ეს მისაღებია. თუმცა კომიკურად მოიქცა, როგორც მას სჩვევია ხოლმე.

***— გამოდის, რომ გავა საკონსტიტუციო ცვლილებები?***

— თქვეს, რომ ვუჭერთ მხარსო, თუმცა არც ის გამიკვირდება, რომ გადაიფიქრონ, მაგრამ სავარაუდოდ მგონია, რომ გავა.

***— საკუთარი გუნდის ერთგულების და ერთიანობის დამტკიცება უნდა ამ ინიციატივით?***

— ხომ გითხარით, მართლაც რომ კომიკურად და სასაცილოდ მოიქცა სააკაშვილი და მისი გარემოცვა, მაგრამ ამ კომიზმის შინაარსი ასეთია, რომ აი, თქვენ ცდილობდით ჩვენს წელში გატეხვას, ვერ გაგვტეხეთ, ვერ მოაგროვეთ ეს ხმები. ამის დემონსტრირებისთვის რომ ხალხმაც ნახოს ჩვენი სიმტკიცე და ერთიანობა, ის, რომ ვერ შეგვაშინეთ, ჩავატაროთ სარეიტინგო კენჭისყრა, სადაც კანონი ჩავარდება და ამის მერე რამდენი ხმაც დაგაკლდებათ, ჩვენ დაგიმატებთ. აი, ასეთი უპასუხისმგებლო და ასეთი კომიკური შინაარსის განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა. ჩვენ ასეთი პრეზიდენტი გვყავს, ეს ხომ ვიცით კარგა ხანია, ამიტომ მე ეს არ გამკვირვებია. გამეღიმა უბრალოდ და მეტი არაფერი.

***— საინტერესოა, რამდენად დათანხმდება ამას უმრავლესობა და კიდევ ხომ არ გაჭიანურდება ეს საკითხი?***

— იცით რა, მე მეჩვენება, რომ ეს თემა, რაღაც ზედმეტად გაიბერა. ზედმეტად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა და გახდა დიდი მსჯელობის საგანი. სავარაუდოდ, ახლა რადგან უმრავლესობაც მოწადინებულია, რომ ეს ცვლილებები შევიდეს, იმიტომ, რომ არცთუ ისე უმნიშვნელო ცვლილებებია. ამით ჩვენ სააკაშვილს ვართმევთ უფლებას, რომ არჩევითი ორგანოს თანხმობის გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, დანიშნოს მთავრობა.

***— დიდი ვაჭრობის საგნად იქცა ეს თემა, ბატონო ჯონდი...***

— იმიტომაც ვამბობ, რომ ძალიან გაიბერა. მნიშვნელობა ამას ჰქონდა, ეს იგრძნო სააკაშვილმა და შეეცადა, ამაში გამოეძალა ინდულგენცია და მოკლედ, არა მარტო საკუთარი ტყავის გადარჩენას ცდილობდნენ ამითი, არამედ იმ ნაქურდალი და ნაძარცვი ქონების შენარჩუნებას, რომელიც წლების განმავლობაში დააგროვეს სახელმწიფოს და ხალხის ძარცვის ხარჯზე.

***— აქედან გამომდინარე, რამდენად დათმობენ ისინი ასე მარტივად ამდენ ქონებას და ძალაუფლებას, რომელსაც ასე ებღაუჭებიან?***

— ეს გამოჩნდება. ჩვენ ახლა გვაქვს ასეთი მოცემულობა, კანონი შეტანილია, კენჭისყრა იქნება 22 მარტს და არის განცხადება გაკეთებული, რომ თუ სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარდება, ამის მერე მხარს დაგიჭერთ. ამიტომ დაველოდოთ მოვლენებს, არ მინდა ზედმეტი მარჩიელობა რომ დავიწყო. მიუხედავად ამ კომიზმისა, რომელიც აშკარად შეერია ამ ცვლილების მხარდაჭერას, მაინც კარგია, რომ ამაზე დათანხმდნენ, წამოვიდნენ და ეს ცვლილებები რომ განხორციელდება.

***— ნაციონალებმა იფიქრეს, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო?***

— როგორც ჩანს, ამათმა იფიქრეს, აწონდაწონეს და მიხვდნენ, რომ თუ მთავრობას დაითხოვენ, ეს იქნება მათთვის ძალიან მძიმე განაჩენი. ამის შესახებ მეც და სხვა პარტიების ლიდერებსაც არაერთხელ უთქვამთ, რომ ეს იქნება ძალიან მძიმე განაჩენი სააკაშვილისთვის. გაზომეს სიტუაცია, ხალხის განწყობა გაზომეს და დაასკვნეს, რომ ამ ეტაპზე არ შეიძლება ამ ნორმის გამოყენება, ანუ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის და მთავრობის დათხოვნა, იმიტომ, რომ შეიძლება ამ ხალხს ვერ გაასწრონ უბრალოდ საზღვარგარეთ. ამიტომაც მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. თანაც უმრავლესობის მხრიდან რომ ითქვა, რომ მათ საკმარისი ხმები ჰქონდათ ამ ცვლილებების გასატანად, სააკაშვილმა სწორედ ამიტომ მოითხოვა სარეიტინგო კენჭისყრა. სწორედ ამის გაქარწყლება უნდათ, თქვენ კი ასე ამბობთ, რომ გყავთ მხარდამჭერები ჩვენი გუნდიდან, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვტეხეს, ჩვენ მაინც ფეხზე ვდგავართ, მაგრამ რადგან ასე ძალიან გინდათ, ჩვენც მხარს დაგიჭერთ. აი, ასე უნდათ, რომ წარმოაჩინონ, სინამდვილეში კი მხარს თუ დაუჭერენ, როგორც ჩანს, სწორად შეაფასეს ამ საკითხთან დაკავშირებული პოტენციური რისკები. შიშობენ, რომ შეიძლება ვეღარ გაასწრონ ხალხს თავიანთ საყვარელ აგარაკებზე, რომლებიც მრავლად აქვთ საზღვარგარეთ და რომელიც საკმაოდ კომფორტულად აქვთ მოწყობილი. სწორედ ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

***— მაშინ გამოდის, რომ მათ მიერ დაანონსებული აპრილის აქცია აზრს კარგავს? თუ მაინც აქვთ რაღაცა ხაფანგები დაგებული?***

— 19 აპრილის აქციის ერთი ნაწილი ამით გაუქმდება, ანუ ამათმა ზუსტად დაუმიზნეს, რადგან პრეზიდენტს 20 აპრილიდან შეეძლო მთავრობის დათხოვა და 19 აპრილს იმიტომ დანიშნეს. ეს აქცია იმიტომ დაამთხვიეს ამ ყველაფერს, რომ ერთი მხრივ, შეეცადნენ გაემძაფრებინათ ვითარება და უფრო მეტი ფასი დაედოთ მათი პოლიტიკური ფასიანი ქაღალდებისთვის, რომ გამოეძალათ პრემიერ-მინისტრისთვის ინდულგენცია თავისი ტყავის და ქონების გადასარჩენად, რადგან ამას სრულად ვერ მიაღწიეს, დათხოვნის ნაწილში ამას, რა თქმა უნდა, ვეღარ გამოიყენებენ, მაგრამ იქ აუცილებლად შეეცდებიან, რომ 8 თებერვლის მაგვარი პროვოკაცია მოაწყონ. ისევ კივილ-წივილი და ისტერიკა ატეხონ, გაიქცნენ სტრასბურგში, ბრიუსელში, იქ ვიღაცას ფული გადაუხადონ და რაღაცა პასკვილები დააწერინონ. ამისთვის, რასაკვირველია, ამ აქციას გამოიყენებენ, მაგრამ ამ აქციის მთავარი შინაარსი მაინც ეს არის — თვითდაჯერებულობა. საკუთარი ფსიქოლოგიის თვითდარწმუნება და სხვისი დარწმუნება იმაში, რომ ჩვენ ოპოზიციონერები ვართ. ერთგვარი ლეგალიზება საკუთარი თავის ოპოზიციაში, აი, რა უნდათ. თუ ეს აქცია გამოუვიდათ, ამით შეეცდებიან საკუთარი თავიც და სხვაც შეაჩვიონ იმას, რომ ისინი ოპოზიციაში არიან და მიტინგებსაც კი აწყობენ ხელისუფლების წინააღმდეგ. შეეცდებიან, ვიღაცები დაარწმუნონ, რომ მათ ამის მორალური უფლება აქვთ, რომ რაღაცა გააპროტესტონ. თანაც ამით ღია კარს ამტვრევენ ისინი, რადგან რასაც ვერ დააბრალებ ახალ ხელისუფლებას, ეს არის დასავლური კურსისგან გადახვევა. მათ არ გადაუხვევიათ და არც არანაირად არ აპირებენ დასავლური კურსისგან გადახვევას.

***— ბატონო ჯონდი, სააკაშვილის ვადის ამოწურვის შემდეგ, რამდენად შეინარჩუნებს ნაციონალური მოძრაობა 40%-იან ოპოზიციას პარლამენტში?***

— რთული სათქმელია. ვადის ამოწურვის შემდეგ კი არა, სააკაშვილი კიდევ აქტუალობას ინარჩუნებს, აი, ამ ათდღიანი შუალედით 20 აპრილიდან 30 აპრილამდე, როცა მას შეუძლია ჩარხი შემოაბრუნოს წაღმიდან უკუღმა და დაითხოვოს პარლამენტი. როცა ეს ათდღიანი შუალედი გავა, სააკაშვილის აქტუალურობა ყველანაირად იკარგება. რეალურად სააკაშვილი უკვე ფორმალურადაც არის წარსულის პოლიტიკოსი. აქამდე მორალურად იყო წარსულის პოლიტიკოსი და ახლა ფორმალურადაც ასე იქნება. როცა ეს ათდღიანი შუალედი გაივლის, ეს გაფორმდება. სავარაუდოდ ნაციონალების დაშლის პროცესი გაგრძელდება და ეს ღიად გამოიკვეთება აპრილის ბოლოდან. თუმცა რაღაცა ბირთვს სააკაშვილი პარლამენტში მაინც შეინარჩუნებს. არ დაგავიწყდეთ, რომ მას აქვს უზარმაზარი ნაქურდალი ფული და ქონება, ხალხისგან და სახელმწიფოსგან ნაქურდალი და აქვს უზარმაზარი რესურსები, მაგალითად, მედიაში. საინფორმაციო ველში 70-80%-ს ისევ სააკაშვილი და მისი გარემოცვა აკონტროლებს და არა მარტო ელექტრონულ მედიაში. არასამთავრობო სექტორის ძირითადი ნაწილიც მათ მიერ ფინანსდება და ამ ყველაფერთან ერთად რა, თქმა უნდა, აქვს ძალიან დიდი გამოცდილება პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის, დასავლეთში კავშირები აქვს და ამიტომ რაღაცა ბირთვს პარლამენტში ისინი მაინც შეინარჩუნებენ. თუმცა ეს მაინც გედის სიმღერაა. უბრალოდ, დროში გაწელილი და საბოლოოდ გაფორმდება ჯერ საპრეზიდენტო და შემდეგ თვითმმართველობით არჩევნებში, როცა გამოჩნდება, რომ ისინი უბრალოდ ბარიერსაც კი ვერ გადალახავენ.

***— ბატონო ჯონდი, კიდევ ერთ თემას მინდა რომ შევეხოთ, ჯავახეთთან დაკავშირებულ პრობლემებს, საუბარია, რომ ამ პროვოკაციასაც ნაციონალები ხლართავენ. რამდენად ფეთქებადსაშიში სიტუაცია შეიძლება რომ შეიქმნეს?***

— ნაციონალები კი არ ხლართავენ, ნაციონალები ცდილობენ, გამოიყენონ ის უპასუხისმგებლო საქციელი, რომელიც ჩაიდინა ახალქალაქის საკრებულომ. ეს იყო სრულიად უადგილო, უდროო და უპასუხისმგებლო ქმედება და ამაზე მათ პასუხისგება მოუწევს. იმიტომ, რომ ეს იყო სრულიად გაუაზრებელი ქცევა და სრულიად უადგილო, რამაც ქვეყანაში შეიძლება შემოიტანოს ზედმეტი დაძაბულობა, თუკი თვითონვე არ გაიწვევენ თავის გადაწყვეტილებას. ვიმეორებ, ეს ქვეყანაში შემოიტანს ძალიან დიდ დაძაბულობას და ეს გახდება საფუძველი საერთო სახალხო პროტესტის. რის გამოყენების მცდელობასაც უმიზნებს ნაცმოძრაობა, თუმცა ისინი ამას ვერ გამოიყენებენ. თუკი ეს თემა და პროტესტი გამწვავდა, ისინი ამ საპროტესტო ტალღას სათავეში მაინც ვერ ჩაუდგებიან, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა და მთლიანად სააკაშვილის ბანდა, არის ლუსტრირებული, რომ მათ არანაირი ეროვნული ძარღვი არ უფეთქავთ და სულიერად დაცლილები არიან, ისინი სულიერად სტერილურები არიან ყოველგვარი ეროვნულობისგან. ეს არის უწარსულო და უსამშობლოო ხალხის ნაკრები. ეს ხალხმა ძალიან კარგად იცის, ამიტომ ისინი ამის სათავეში ვერანაირად ვერ მოექცევიან, მაგრამ ეს პროტესტის ტალღა იქნება. მე იმედი მაქვს, რომ ახალქალაქის საკრებულოს იმ პარტიათა ხელმძღვანელები, რომელმა პარტიებმაც ამ გადაწყვეტილებაზე იაქტიურეს, გამოიჩენენ სიღრმისეულ ხედვას, ამ პრობლების და თვითონვე მოახერხებენ, დაალაგონ ეს ვითარება და მიუთითებენ, რომ სრულიად უპასუხისმგებლო და უადგილო თემის აქტუალიზაცია დაიწყეს.

***— ისედაც მწვავე რეგიონად ითვლება და ალბათ აღარ იყო საჭირო ხელოვნურად ვითარების დაძაბვა...***

— მე უფრო ზუსტად ასე ვიტყოდი, რომ რეგიონში სახელმწიფოს მტრები ცდილობენ სიტუაციების გამწვავებას. თორემ რეგიონში არის საკმაოდ სტაბილური მდგომარეობა. იქ ცხოვრობს ძალიან კარგი ხალხი, უმრავლესობა ეთნიკურად სომეხი, თუმცა ქართველებიც ცხოვრობენ და მცირე ნაწილი რუსებიც. საკმაოდ პასუხისმგებლიანი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი ცხოვრობს. ამ ხალხმა არაერთხელ აჩვენა, რომ მათი პასუხისმგებლობის გრძნობა და მათი სახელმწიფოებრივი აზროვნება, უმეტეს შემთხვევაში ბევრ პოლიტიკოსზე უფრო მეტია. ანუ ისინი პოლიტიკურად უფრო მოწიფულები და სახელმწიფოებრივად უფრო მოაზროვნეები არიან, ვიდრე პოლიტიკოსები ნაციონალური მოძრაობიდან და არა მარტო ნაციონალური მოძრაობიდან. ამიტომ მე ასეთ გამოთქმას არ დავეთანხმებოდი, რომ იქ რეგიონი მწვავეა. რეგიონში უბრალოდ ცდილობენ ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტიკური ძალები, სიტუაციის გამწვავებას და პოლიტიკური სპეკულაციისათვის იყენებენ სრულიად სამარცხვინო და შეუფერებელი თემების აქტუალიზაციას და ვითარების ხელოვნურად გამწვავებას ცდილობენ.

## ვანო მერაბიშვილის დედის საქმიანობას მთავარი პროკურატურა სწავლობს

ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დედის — ჟენია მერაბიშვილის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში საქმის შესწავლა დაიყო. ინფორმაცია ამის შესახებ „ნიუს-პრესს“ მთავარ პროკურატურაში დაუდასტურეს.



მათი განცხადებით, პროკურატურაში, ვანო მერაბიშვილის დედის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრის წერილია შესული, რომლის საფუძველზეც უწყებამ საქმის შესწავლა დაიწყო.

„იმ შემთხვევაში, თუ საქმის შესწავლისას დანაშაულებრივი ნიშნები გამოიკვეთება, ოფიციალურ საგამოძიებო მოქმედებებს დავიწყებთ“ — აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

**ნიუსპრესი**

## ინტერპოლმა საფრანგეთში ქართველი ძებნილი დააკავა

**საფრანგეთში, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საფრანგეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, თბილისის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი ვახტანგ ნოეს ძე გვრიტიშვილი დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვახტანგ გვრიტიშვილს ბრალად, სსსკ 133-ე მუხლით (1991 წლის 28 ივნისის რედაქციით), 104-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7 პუნქტებით (1994 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით) და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 30 მაისიდან მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა ედება, რაც გულისხმობს ადამიანის გატაცებას — ჩადენილს ანგარებით, ყაჩაღობას — წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ბინაში შეღწევით თავდასხმას — მოქალაქის პირადი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა, დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი ადამიანის განზრახ მკვლელობას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკითა და ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი ადამიანის სიცოცხლისთვის, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით.

სამინისტროს ინფორმაციითვე, 1994 წლის იანვარში, ვახტანგ გვრიტიშვილმა თანამზრახველებთან ერთად მოახდინა ნეშან მინასიანის შვილის, ვაზგენ მინასიანის გატაცება, ფულის გამოძალვის მიზნით. ვაზგენ მინასიანი მოგვიანებით გათავისუფლებული იქნა მშობლების მიერ, 75 000 აშშ დოლარის გადახდის შედეგად. იმავე წლის თებერვალში დამნაშავეებისთვის ცნობილი გახდა, რომ ნეშან მინასიანმა შეიტყო მისი შვილის გამტაცებლების ვინაობის შესახებ და კვალის დაფარვის მიზნით, ვ. გვრიტიშვილი თანამზრახველებთან ერთად, 1994 წლის 19 თებერვალს, ყაჩაღურად თავს დაესხა მინასიანების ოჯახს და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ნეშან მინასიანი, ფლორა მინასიანი და ვაზგენ მინასიანი, ხოლო ამ უკანასკნელის დამ — გაიანე მინასიანმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

2011 წლის 15 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ვახტანგ გვრიტიშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, ხოლო 2011 წლის 3 ნოემბრიდან, იგი წითელი ცირკულარით იძებნებოდა თბილისის ინტერპოლის მიერ.

ამჟამად დაკავებული საფრანგეთის საექსტრადიციო ციხეშია გადაყვანილი და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით უსუფაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე ვერ გავა“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე იწყებს მსჯელობებს. ამ ცვლილებების მიხედვით პრეზიდენტის უფლებამოსილება იზღუდება. მეოცნებეები ამაყად აცხადებდნენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭიროზე მეტი ხმები ჰქონდათ. გუშინ გაირკვა, რომ ეს ასე არ არის. ამის მიუხედავად ცვლილებები ალბათ მაინც მოხდება. ნაცმოძი მზადაა მხარი დაუჭიროს ამ ცვლილებებს.

19 მარტს გვიან საღამოს მეოცნებეებმა განგაში ატეხეს მიხეილ სააკაშვილი ნაციონალ დეპუტატებს ხვდება და მათზე ზეწოლას ახდენსო. შეხვედრის დასრულების შემდეგ განგაში შეწყდა. პარლამენტის ექს-სპიკერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა ცვლილებებს მხარს დავუჭერთო.

ცვლილებების სანაცვლოდ ნაცმოძი სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებას ითხოვდა. დაიბარეს, ჩაატარეთ კენჭისყრა, გაარკვიეთ რამდენი ხმა გაკლიათ და ამდენ ხმას მოგცემთო. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ ნაციონალებმა სხვანაირად დაიწყეს სჯა-ბაასი.

დავით უსუფაშვილმა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, საკონსტიტუციო ცვლილებები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე ვერ გავა.

– სწორედ იქედან გამომდინარე, რომ კითხვაზე პასუხი – ახერხებს თუ არა მმართველი გუნდი საკონსტიტუციო ცვლილებების უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე გატანას, ელემენტარული არითმეტიკიდანაც ჩანს, სარეიტინგო გამოკითხვის აუცილებელი არ არსებობს.„მინდა, განვმარტო ყველასთვის, თუ რა მდგომარეობაა პარლამენტში. დღევანდელი მდგომარეობით, პარლამენტში არის 147 წევრი. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას სჭირდება, სულ მცირე, 100 ხმა. უმცირესობის რიგებში დღევანდელი მდგომარეობით ირიცხება პარლამენტის 53 წევრი, შესაბამისად, შეკითხვაზე – რა შემთხვევაში იქნება მიღებული კონსტიტუციური ცვლილებები, განვმარტავ: კონსტიტუციური ცვლილებები მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერენ ნაციონალურ მოძრაობაში დღევანდელი მდგომარეობით რიცხული პარლამენტის წევრები. ამიტომ საკითხზე, სარეიტინგო გამოკითხვა უნდა ჩატარდეს იმის გასარკვევად, საკონსტიტუციო ცვლილებები გადის თუ ვერ გადის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მხარდაჭერის გარეშე, ჩემი პასუხია

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# აკაკი მინაშვილი: „ანი მიროტაძისთვის არ შემიგინებია“

შორენა მარსაგიშვილი





ნაციონალებს ნერვები აშკარად აღარ ჰყოფნით. პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა თავის კოლეგას, ანი მიროტაძეს შეაგინა. მინაშვილის გინება მედიასაშუალებებმა დააფიქსირეს. გინების ფაქტს მინაშვილი უარყოფს. კადრები კი სხვა რამეს ადასტურებენ.

მინაშვილის რისხვა მიროტაძემ პარლამენტის სხდომაზე გაკეთებული განცხადების გამო დაიმსახურა. მან ნაციონალების მიმართ რამდენიმე მწვავე შეფასება გააკეთა და ისიც იკითხა, მაინტერესებს პრეზიდენტი მთავრობის დათხოვნას თუ გაბედავსო.

– შს მინისტრის დანიშნულება მარტო ის კი არ არის, იმაზე ისაუბროს, 4 თვის განმავლობაში რა ხდებოდა, არამედ იმაზეც, რომ 9 წლის განმავლობაში რაც ხდებოდა, იმის გამოძიება უნდა მოხდეს და ნუ აუკრძალავთ და ნუ ასწავლით შს მინისტრს. თუ არადა, თქვენ გყავდათ შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც იქცეოდა, კარგად იცით. რაც შეეხება ე.წ. სარეიტინგო კენჭისყრას... მართლა სერიოზულად დავრწმუნდი უკვე იმაში, რატომ იყო თქვენი გუნდი წარუმატებელი 9 წლის განმავლობაში, იმიტომ, რომ ასე არასერიოზულად იღებდით თურმე გადაწყვეტილებებს. თუ ჩვენი რაოდენობა არ იცით, თქვენი რაოდენობა ხომ იცით?! თუ ის არ იცით, რომ მახინჯი ჩანაწერია კონსტიტუციაში, ის ხომ მაინც იცით, რომ ახლა მაინც არ უნდა ევაჭროთ საქართველოს მოსახლეობას?! ის ხომ მაინც იცით, რომ თქვენი პრეზიდენტი ვერ გაბედავს მთავრობის დათხოვნას?! თუ გნებავთ, ვცადოთ, აბა, როგორ იქნება – არ დაუჭიროთ მხარი, ჩვენ არ გვჭირდება, ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, როგორ დაითხოვს საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტი, – განაცხადა მიროტაძემ.

სწორედ ამ გამოსვლის დროს შეიგინა მინაშვილმა მისი მისამართით. ცოტა ხნის წინ რამდენიმე ქუთაისელი მინაშვილის გინებისთვის 100-100 ლარით დააჯარიმეს. საინტერესოა, ამ შემთხვევაში უნდა დაჯარიმდეს თუ არა ნაციონალი დეპუტატი.

მის ქმედებას სოციალურ ქსელებში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ოცნების ტალღაზე მყოფი ფეისბუქელები მთელი დღე მინაშვილის ახლობლების მოკითხვით იყვნენ დაკავებული. ეტყობა სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მინაშვილმა სოციალური ქსელების მეშვეობით ემართლა თავი.

– სხვადასხვა წყაროები ავრცელებენ მცდარ ინფორმაციას, რომ თითქოს მე შეურაცხყოფა მივაყენე ჩემს კოლეგას. მინდა, გითხრათ, რომ ჩემი ემოცია საერთოდ არ ეხებოდა საპარლამენტო დებატებს ან იქ განხილულ საკითხებს და მით უმეტეს, არ იყო კონკრეტული ადამიანის მიმართ და სამწუხაროა, რომ მედიამ არასწორად აღიქვა ეს ფაქტი და სხვაგვარად მოახდინა ჩემი ქმედების ინტერპრეტაცია. თუ ვინმეს შეექმნა ასეთი შთაბეჭდილება, ეს მხოლოდ შემთხვევითობამ და ეთერში კადრების მიმდევრობამ განაპირობა, – წერს მინაშვილი ფეისბუქის თავის გვერდზე.

ამ თავის მართლებით მინაშვილი პარტიულ ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს წააგავს. თავის დროზე ვერც სააკაშვილმა გაბედა იმის აღიარება, რომ ასაკით ბევრად უფროს კოლეგას მიხეილ ნანეიშვილს შეაგინა. ეს ინციდენტი 1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში მოხდა.

ერთ-ერთ სხდომაზე სააკაშვილი მივიდა ნანეიშვილთან ახლოს და მშვიდი სახით ყურში რაღაც უთხრა. ამაზე ნანეიშვილი აყვირდა. სააკაშვილმა გაიკვირვა, რა მოხდა, ამ კაცს ჩემგან რა უნდაო. იქვე მჯდომმა დეპუტატებმა მოგვიანებით დაადასტურეს, რომ სააკაშვილმა მხცოვან კოლეგას ყურში დედის გინება ჩასჩურჩულა.

# „ნუგზარ წიკლაურს ქართულ ჯარზე ლაპარაკის უფლება არა აქვს!“

## ვეტერანების პასუხი დეპუტატს

შორენა მარსაგიშვილი

**დეპუტატი ნუგზარ წიკლაური თავს ქართული არმიის ქომაგად მიიჩნევს. ის თავადაც ვერ ხვდება, რომ ქართულ არმიას ამით შეურაცხყოფას აყენებს. ნამდვილად ვერ გეტყვით, როდიდან დაიწყო დეპუტატმა არმიაზე ზრუნვა. მისი მზრუნველი განცხადებები ხალხს საერთოდ არ ახსოვს. სამაგიეროდ კარგად გვახსოვს, რა შეურაცხყოფა მიაყენა მან ქართველ ვეტერანებს.**

2010 წლის დეკემბრის ბოლოს ქართველმა ვეტერანებმა სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გმირთა მოედანზე შიმშილობის აქცია დაიწყეს. ეს აქცია 2011 წლის 3 იანვარს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დაარბიეს. ამ ფაქტმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩიც კი შეაშფოთა. სამაგიეროდ, ქართული არმიის მოამაგე წიკლაური გამოვიდა და ვეტერანების ლანძღვა დაიწყო.

წიკლაურის ქართულ ჯარზე ზრუნვის ამბავი მას შემდეგ გავიგეთ, რაც ცნობილი გახდა, რომ მან ბაჩო ახალაიასგან საჩუქრად იარაღი მიიღო. წიკლაური ამტკიცებს, რომ იარაღი მას ჯარზე ზრუნვისთვის ეკუთვნის. ჯარზე ზრუნვის სურვილი დეპუტატმა გუშინ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა. თუმცა თუ კარგად ჩავუღრმავდებით, მას ჯარზე მეტად ბაჩო ახალაია ადარდებდა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ წიკლაურმა ეს იარაღი უკან უნდა დააბრუნოს.

დეპუტატი იარაღის უკან დაბრუნებას არ აპირებს და მეოცნებეებს იქით სდებს ბრალს ქართული არმიის ღირსების შელახვაში.

– მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ შემაშფოთებელ ტენდენციაზე, რომლის მომსწრენიც ვიყავით ყველანი, ვგულისხმობ ჯარის ღირსების შემლახველ, საძრახის კამპანიებს, რომელიც ხორციელდებოდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ხელისუფლების შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელის მხრიდან და მეორე მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე, შესაბამისი სამინისტროს მხრიდან. ჩვენ ვნახეთ, რომ იყო მცდელობა, ქართული ჯარი გამხდარიყო მძევალი პოლიტიკური ინტერესებისა, ვხედავდით სატელევიზიო შოუებს, მინისტრთა საჩვენებელ გასვლას რაღაც კომუნისტური მგზნებარებით და ასევე მჭვუნვარებით აღბეჭდილ სახეებს გაფუჭებულ ონკანებთან, ამოყრილ ფილაქნებთან და ამის შემდეგ განცხადებებს, რომ თითქოს ქართულ ჯარში არანაირი აღმშენებლობა არ ყოფილა. მე ვფიქრობ, პოლიტიკური მიზნებისათვის ქართული ჯარის ამგვარი შეურაცხყოფა და დამცირება არის დამაზიანებელი ქვეყნისათვის და მინდა, ვურჩიო ყველას, ვისაც სამომავლოდ ამგვარი განზრახვა ექნება, რომ სერიოზულად აწონდაწონოს ის შედეგი, რომელიც შეიძლება, ამას მოჰყვეს. ჩვენ კარგად ვიცით, როგორი იყო ქართული ჯარის მდგომარეობა წარსულში. გვყავდა თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამბობდა, რომ მას აქვს მხოლოდ „რაგატკები“ მტრის მოსაგერიებლად, ხოლო მას შემდეგ სიმულაციების ცენტრების, კადეტთა სამხედრო აკადემიის, რეინჯერების ცენტრების, სამხედრო ლიტერატურის გამოცემის მომსწრენი გავხდით, აიგო თავდაცვის



ზღუდეები, მართვის ცენტრები, შეძენილია თანამედროვე აღჭურვილობა და ა.შ., საწვრთნელი ბაზები აშენდა და სამხედრო მრეწველობა დაიწყო, რაც ყველა ჩვენგანის სიამაყის საგანია და ყოველივე ამის შემდეგ მინისტრები, მათ შორის ფინანსთა მინისტრი კი არ უნდა დადიოდნენ გაფუჭებულ ონკანებთან, არამედ აკეთებდნენ ამ ონკანებს. მთავრობა, რომელმაც 6 თვის განმავლობაში სადღაც ვერ დააგო პარკეტი, სადღაც ვერ შეცვალა ონკანი, ვერ გააკეთა საშხაპე, მე არ ვფიქრობ, რომ ვინმემ ჩათვალოს ეფექტურ ხელისუფლებად. თუ ეს ყველაფერი დაკავშირებულია კონკრეტულ პირებთან, კერძოდ, ბაჩო ახალაიასთან, მაშინ ეს კიდევ უფრო საცნაურს ხდის, როგორი არასერიოზული დამოკიდებულება აქვს ახალ ხელისუფლებას ჯართან მიმართებაში. მინდა, ყველას მოვუწოდო, დაიცხროს პოლიტიკური ვნებები ჩვენს ჯართან დაკავშირებით და ვუერთგულოთ იმ პრინციპებს, რომელიც ყველასთვის მნიშვნელოვანია, – განაცხადა წიკლაურმა.

ჯარზე ზრუნვით დაღლილი დეპუტატის განცხადებას მკვეთრი რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში. განსაკუთრებით აღშფოთდნენ შეიარაღებული ძალების ვეტერანები. რომლებსაც დეპუტატი გამუდმებით ლანძღავს. არადა, ქართული არმია სწორედ ამ ხალხმა ააშენა.

წიკლაურის გულისამაჩუყებელ მონოლოგზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ „საქართველოს ლეგიონის“ თავმჯდომარეს მალხაზ თოფურიას. ის 2011 წლის 3 იანვარს დარბეული აქციის აქტიური მონაწილე გახლავთ. თოფურიას მიაჩნია, რომ ნუგზარ წიკლაურს ქართულ ჯარზე საუბრის უფლება არა აქვს.

– ნუგზარ წიკლაური ის ადამიანია, რომელმაც ნაბრძოლ ადამიანებს უბინძურესი მეთოდებით შეურაცხყოფა მიაყენა. მას უფლება არა აქვს ჯარზე და ვეტერანებზე ისაუბროს. წიკლაურმა თქვა: ვეტერანებს იმიტომ ვკლავთ და ვურახუნებთ, რომ ისინი გმირთა მემორიალს ბილწავენო. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო მაგრამ მაინც იკადრა. ჩვენს აქციას კუდი უთვალთვალებდა. მათი კამერები 24 საათის განმავლობაში მოშვერილი იყო ჩვენკენ. ასეთი ფაქტი რომ ყოფილიყო, ამას არ გამოიყენებდნენ? საქმე ის გახლავთ, რომ წიკლაური, ისევე როგორც სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური კომპლექსის მქონე ნაციონალები, ორგანულად ვერ იტანს რუსეთის წინააღმდეგ ნაბრძოლ ადამიანებს. გასაგებია, რომ მან ბაჩო ახალაიას პირობებში შეიარაღებული ძალებიდან საჩუქრად მიიღო იარაღი. ეს მას იმის უფლებას არ აძლევს, რომ ჯარი ან დაიცვას, ანდა აძაგოს. ჯარს ის ყოველთვის გამორჩეულად ლანძღავდა. ახლა რატომღაც ადვოკატობა მოუნდა, – აცხადებს თოფურია.

შეიარაღებული ძალების ვეტერანი მიიჩნევს, რომ წიკლაური ანტიმხედრული მენტალიტეტით გამოირჩევა და ქვეყნის დამცველი ვერასდროს იქნება.

მალხაზ თოფურიასთვის განსაკუთრებით მიუღებელია ის ფაქტი, როცა წიკლაური და „კომედი შოუს“ ბიჭები საჩუქრად იარაღს იღებენ. იმ დროს, როცა სამშობლოს დამცველი, დაინვალიდებული ბიჭები მათხოვრულ პენსიაზე არიან.

– მე მოვუწოდებ ამ ადამიანებს, მიიტანონ ეს იარაღი და ჩააბარონ თავდაცვის სამინისტროს. მათ ამ იარაღის ტარების უფლება არა აქვთ, – მიიჩნევს საქართველოს ლეგიონის თავმჯდომარე.

ბოლო დროს წიკლაურმა რამდენჯერმე ახსენა რაგატკიანი ქართული ჯარი. ამავე დროს დეპუტატს ერთი რამის აღნიშვნა ავიწყდება, რომ რაგატკიანმა არმიამ, ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გაუძლო კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმიის შემოტევებს.

– დაანებოს წიკლაურმა რაგატკიან ჯარზე საუბარს თავი! ჯარი თუ ასეთ პირობებში იყო, ეს თავის მიხეილ სააკაშვილს მოჰკითხოს, რომელიც იმ დროს მინისტრი იყო და არაფერი გაუკეთებია არმიისთვის. მოჰკითხოს თავის შევარდნაძეს, რომლის დროსაც სტამბის უფროსი გახდა და ბიზნესი დაიწყო. ეგ რომ ფულს შოულობდა, ქართული ჯარი მშიერი იყო. ამაზე მათ მოსთხოვოს პასუხი. და როგორც უკვე ვთქვი, ქართულ ჯარზე საუბრის უფლება არა აქვს. დღემდე არ მავიწყდება მის მიერ გაკეთებული განცხადება ვეტერანებს შეურაცხყოფა რომ მოგვაყენა. მაშინ ხომ კუდის თანამშრომლებმა დაგვარბიეს. მაგრამ კუდის მუშტი არ იყო ისეთი მწარე, როგორც წიკლაურ-ბალავაძის ღრუტუნი, – აცხადებს მალხაზ თოფურია.

# სალომე ზურაბიშვილი: „ჩემს თავს ვხედავ ყველგან, სადაც არის საქმე“

## რომელ სამინისტროს ჩააბარებენ ექსმინისტრს?

ნათია ხურცილავა



კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობაში ცვლილებები იგეგმება. მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები, როგორც ამბობენ, უახლოეს მომავალში მოხდება. კონკრეტულად რომელ სამინისტროებს შეეხება პირველი პირის შეცვლა, ჯერ უცნობია. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ცვლილებები არ შეეხება ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პრემიერ-მინისტრმა იქაც მოახდინოს გადაადგილება.

ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს კადრების პრობლემა აქვს. ეს მართლაც შეიძლება ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს, რადგან კვალიფიციური კადრების პრობლემა რეალურად არსებობს.

უახლოეს მომავალში საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ სალომე ზურაბიშვილს ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან უწყებას ჩააბარებს.

სალომე ზურაბიშვილი გაეროდან, სადაც ირანის სანქციების ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობით არის დაკავებული, საქართველოში აქტიურ პოლიტიკას დაუბრუნდება. როგორც ცნობილია, მას გაეროში კონტრაქტი გაზაფხულზე ეწურება.

აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს ზურაბიშვილი. თუმცა, ის არ აკონკრეტებს, სად შეიძლება იყოს წარმოდგენილი და ამის მიზეზად არაინფორმირებულობას ასახელებს.

როგორც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აცხადებს, ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა იცის.

სალომე ზურაბიშვილმა თავის დროზე, როდესაც ხმები გავრცელდა, რომ თითქოს მას ფოთის მაჟორიტარ კანდიდატად უპირებდა „ქართული ოცნება“ დასახელებას, შეიძლება ითქვას, ბრაზნარევი ტონით განაცხადა, რომ პარლამენტში არ ჩაიკეტება. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ თავი ფოთის მუნიციპალიტეტში უფრო წარმოუდგენია.

– უთუოდ დავბრუნდები მეც სამშობლოში კიდევ ერთხელ. უთუოდ ფოთის სამომავლო გეგმებით დავინტერესდები... და უთუოდ ამ ქვეყნის სამსახურში ისევ დავდგები... მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ფოთის ან სხვა ოლქის მაჟორიტარად ჩემი კანდიდატურის დაყენებას. მე ასეთი აზრი არსად მიხსენებია, პირიქით, ყველგან მაქვს გამოცხადებული, რომ არც ერთი პოსტისთვის არ ვემზადები და არსად ვარ კანდიდატი. მე ან მეტის, ან ნაკლების ამბიცია მაქვს და არ ვიცი, ჯერ კიდევ როდის მოვა ამისი დრო... ასე რომ, დღევანდელი სპეკულაცია ჩემი სახელით სრულიად უსაფუძვლოა. ან მხოლოდ ჭორებზე აგებული იმათგან, ვისაც რაღაც კონკრეტული ადგილი მიმიჩნიოს უნდა, ან უფრო ცუდ შემთხვევაში, ვიღაცის ინტერესებს ემსახურება ჩემი ამ ამპლუაში ჩაკეტვა... ჩემს გეგმებს კი არა, – წერდა ფეისბუკის გვერდზე მაშინ ზურაბიშვილი.

ერთი სიტყვით, საქმის კეთების მზადყოფნას გამოთქვამს ქალბატონი სალომე, თუმცა სად? ამაზე მისი პასუხი ასეთია: იქ, სადაც ქვეყანას დავჭირდები?

სად შეიძლება ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილი დაინახოს? რომელი უწყება შეიძლება ანდოს? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ მხოლოდ პრემიერმა იცის.

ამ ფონზე სალომე ზურაბიშვილი არ ერიდება განაცხადოს, რომ მას ახალი ხელისუფლების მისამართით კრიტიკა გააჩნია.

ეს განცხადება სალომე ზურაბიშვილმა „მეცხრე არხის“ ეთერში ეკა ბერიძის გადაცემაში გააკეთა.

კითხვაზე, რა არ მოსწონს ზურაბიშვილს ახალ მთავრობაში და რას მიიჩნევს ახალი ხელისუფლების სუსტ წერტილად, ზურაბიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება მის კრიტიკას მოითმენს.

– კრიტიკა მაქვს და მე მგონი, სწორედ ამისთვის ვარ საჭირო ამ გუნდში და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი, არა როგორც წინა ხელისუფლების გუნდი, ამ კრიტიკას მოითმენს და გამოიყენებს. ერთ რამეში ვარ კრიტიკული, თუმცა ეს არაა ერთადერთი, მაგრამ ყველაზე მთავარია. დღეს ეს წესრიგი, რომელიც არსებობს, შექმნილია „ნაციონალების“ მიერ და ჩვენი გუნდი რეაგირების რეჟიმშია. ანუ ისინი ავრცელებენ რაღაც ჭორებს ახალ ხელისუფლებაზე, მერე ჩვენ ვიცავთ თავს; ისინი ქმნიან აჟიოტაჟს კონსტიტუციაზე და მერე ისევ ჩვენ ვიცავთ თავს. ისინი გვემუქრებიან, რომ 19 აპრილს აქციები დაიწყება და შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, მივცეთ თუ არა რეაგირება. ჩვენ არ ვქმნით სათანადო წესრიგს. დავივიწყოთ სააკაშვილი, თუ უნდა თვითონ დაჯდეს საჭესთან, თუ უნდა ჩამოვიდეს ქუთაისში, ის ჯერ კიდევ პრეზიდენტია. ამ მხრივ, მაინც მაგალითი იყო სააკაშვილის ხელისუფლების პირველი ნაწილი. ისინი მაშინ თვითონ ქმნიდნენ დღის წესრიგს – რა რეფორმები, სად არის პრიორიტეტი, რას ვთავაზობთ ქვეყანას. მე მგონი, პრემიერი ამას აკეთებს, მაგრამ – არასაკმარისად და ისინი ნამეტანს მოქმედებენ, რადგან საზოგადოება მაინც იქითკენაა მიტრიალებული. ჯერ კიდევ არსებობს რაღაც შიში, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვართ ჩვენს თავში დარწმუნებული და რატომღაც არის მუდმივად იქით ყურება – რას აკეთებენ ისინი. ჩიორა რას იტყვის, ასი წელი არ მაინტერესებს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კომენტარი კონსტიტუციაზეც გააკეთა. მისი განცხადებით, ჩვენ რომ სრულიად მახინჯი კონსტიტუცია გვაქვს, ყველა მხრიდან ნათელია.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრისას ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ქვეყანას მახინჯი კონსტიტუცია აქვს.

– ჩვენ რომ სრულიად მახინჯი კონსტიტუცია გვაქვს, ყველა მხრიდან ნათელია. ეს არის კონსტიტუცია, რომელიც ოდითგანვე მოდის და უნდა „ვუმადლოდეთ“ შევარდნაძესაც, სააკაშვილსაც, არ ვიცი, ვინ უფრო დაამახინჯა საქართველოს კონსტიტუცია, როცა გვქონდა, სხვათა შორის, არც ისე ცუდი კონსტიტუცია. ვგულისხმობ 1920 წლის კონსტიტუციას, რომლის გამოკეთება შეიძლებოდა. დღეს კი, როცა საუბარია დემოკრატიულობაზე, ევროპულობაზე და ბევრ სხვა საკითხზე, ამ დროს ეს არის უმახინჯესი პუნქტი კონსტიტუციის. როგორ შეიძლება პრეზიდენტმა სამჯერ დაითხოვოს მთავრობა და მერე თვითონ დანიშნოს ახალი მთავრობა ისე, რომ პარლამენტის მხრიდან დამტკიცება არ სჭირდებოდეს. ამაზე უფრო არადემოკრატიულის მოფიქრება ვინმეს გაუჭირდება. ამიტომ ძალიან ნათელია, რა არის ევროპის მოთხოვნა და რა არის პირველ რიგში ქართული საზოგადოების მოთხოვნა. ჩვენ თუ ახალ დემოკრატიულ რეჟიმში გადავედით, პირველ რიგში, ესეც უნდა გამოსწორდეს და დარწმუნებული ვარ, გამოსწორდება, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოში ჩამოსვლასთან და მის მომავალ შეთავაზებასთან დაკავშირებით ზურაბიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: საქართველოში მაშინ ჩამოვა, როგორც კი საქმეს დასჭირდება.

კითხვაზე, ზურაბიშვილის საქართველოში დაბრუნება ხომ არ არის საკონსტიტუციო ცვლილებებზე დამოკიდებული, რათა კოალიციამ პოზიციები უფრო გაიმყაროს, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ის პოზიციების გამყარებას არ ელოდება.

– მე გამყარებას არ ველოდები. არანაირი შიში არ მაქვს; პოზიციები ისედაც გამყარებულია. მე ველოდები, რომ იყოს შეთანხმება და როცა გამოიკვეთება, სად უფრო საჭირო ვარ, მაშინვე ჩამოვალ. ჩამოვალ, როგორც კი საქმეს დასჭირდება. მე არ ვაპირებ ჩამოსვლას იმისთვის, რომ თბილისში სახლში დავჯდე და დაველოდო, როგორ და რა მოხდება. ამაზე ვართ შეთანხმებული და ალბათ, ეს ძალიან მალე მოხდება. მაგრამ ეს იქნება ერთ კვირაში, ერთ თვეში თუ სამ თვეში, მაგას ვერ გეტყვით. ეს შეიძლება უფრო პრემიერმა იცის და ჩემთვისაც ჯერ არ უთქვამს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილმა კომენტარი გააკეთა ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ხმებზე, რომ შეიძლება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს.

სალომე ზურაბიშვილს არასერიოზულად მიაჩნია ისაუბროს, იქნება თუ არა კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი.

– ჩემი მხრიდან სერიოზული არ იქნება დღეს, რომ ასეთ საკითხებზე კომენტარი გავაკეთო და დავიწყო ვარაუდი იმაზე, სად ვიქნები. ჩემს თავს ვხედავ ყველგან, სადაც არის საქმე და მზად ვარ ყველაფრისთვის, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# დავით უსუფაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე ვერ გავა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე



ასეთი – ცვლილებები ვერ გავა, რადგან 147 მინუს 53 არის 100-ზე ნაკლები. ამას მათემატიკა გვეუბნება, შესაბამისად, სრულიად გარკვეულია ეს საკითხი. ეს არ არის პოლიტიკური, არამედ არითმეტიკაზე დამყარებული პასუხი, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე განმარტებით, უმრავლესობა უმცირესობისგან ხმებს არ ითხოვს, არამედ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებაში თანამონაწილეობას სთავაზობს.

– რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ხმა არის საჭირო – განვმარტავ, რომ უმრავლესობა არ ითხოვს მხარდაჭერას, უმრავლესობა უმცირესობას სთავაზობს თანამონაწილეობას ამ პროცესში, რათა პარლამენტმა დაიბრუნოს მისთვის კუთვნილი უფლება და ძალაუფლება. ამიტომ რამდენი ხმა არის საჭირო უმცირესობიდან – პასუხი ასეთია – 53, იმიტომ რომ 53 ხმა სჭირდება სიმართლეს, კონსტიტუციის გასწორებას, პარლამენტისთვის ღირსების დაბრუნებას. ესაა ვითარება. ვითარება არის ცხადზე უცხადესი. მე იმედს გამოვთქვამ, რომ პარლამენტის წევრები დღეს სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და ცვლილებებს პირველი მოსმენით მიიღებენ, – განაცხადა სპიკერმა.

ნაცმოძი მისი განცხადებით კმაყოფილი დარჩა. ყოფილი სპიკერი და უმცირესობის მოქმედი ლიდერი ამბობს, რომ უსუფაშვილის რიტორიკიდან გამომდინარე დღეს საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით გავა.

– მე ნამდვილად მივესალმები თქვენი განცხადების ტონალობას და შინაარს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება იმ ტონალობისა და შინაარსისგან, რაც დღემდე გვესმოდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში უმრავლესობის გამოსვლების სიგნალი იყო, რომ ჩვენი მხარდაჭერის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი ცვლილებების მიღება, რომ ჩვენს აზრს მნიშვნელობა არ აქვს და ა.შ. ამ ყველაფერმა გვაიძულა და დაგვიტოვა ერთი გამოსავალი, რომ საკითხი გადაწყვეტილიყო მარტივად, სარეიტინგო კენჭისყრის გზით. კი ბატონო, გიდასტურებთ, რომ ჩვენ მზად ვართ, მხარი დაგიჭიროთ, მაგრამ არა იმ პირობებში, რომ ჩვენს ხმებს და ჩვენს განწყობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს რა თქმა უნდა, მიუღებელია. მე მივესალმები თქვენი განცხადების შინაარსს და ტონალობას და იმედი მაქვს, რომ ამ ტონალობის გათვალისწინებით ჩვენ შევძლებთ დღეს საბოლოოდ დავუსვათ წერტილი ამ საკითხს. ჩვენი შეფასებით, საბოლოო წერტილის დასმა ეს არის სარეიტინგო კენჭისყრა. ეს არ არის არც ძალის დემონსტრირება, არც რაიმე სიურპრიზი, ეს არის კონკრეტული გზა, რომლითაც ამ საკითხს წერტილი დაესმება. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ეს არის კარგი განცხადება და თუ უმრავლესობა ამ რიტორიკით გააგრძელებს საუბარს, ჩვენ ამ და ბევრ საკითხზე შეთანხმების მიღწევას შევძლებთ, – განაცხადა ბიუროს სხდომაზე უსუფაშვილის საპასუხოდ ბაქრაძემ.

ბიუროს სხდომისგან განსხვავებით ემოციური გამოდგა პარლამენტის სხდომა. მეოცნებეები და ნაციონალები ერთმანეთს გადაბირებებსა და ზეწოლებში სდებდნენ ბრალს. დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა პარლამენტის სხდომაზე ის წერილები ააფრიალა, რასაც ნაციონალები მავანზე და მავანზე წერდნენ არჩევნებამდე.

– ბოლო დღეებში უმცირესობის მხრიდან, მათი პრეზიდენტის მხრიდან, მუდმივად გვესმის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ხდება ხელის გადაგრეხვის პოლიტიკა და ვცდილობთ, ვიღაც-ვიღაცეების გადმობირებას. ახლა ხელთ მაქვს რამდენიმე წერილი, თუ რა ხდებოდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიმართ, რას აკეთებდნენ ძალოვნები. ნება მომეცით წაგიკითხოთ ამონარიდები წერილებიდან, რას ნიშნავს მართლა ხელის გადაგრეხა და ჩალიჩი: „პიროვნება ესა და ეს, ყოფილი მეწარმე, გაწონასწორებული პიროვნება. მოქმედებს თვალთმაქცურად. მის ქცევაში და საუბარში აშკარად იგრძნობა „მეოცნებე“ და ანტინაციონალური სული. ჩვენთვის მეტად საშიშია. შეიძლება „გავუჩალიჩოთ“ საგადასახადო სანქციები“; „მეოცენებე, შემჩნეულია საპროტესტო აქციებზე მეუღლესთან და ძმის ცოლთან ერთად. მართალია, არ გააჩნია მყარი პოზიცია, მაგრამ პროტესტს ყოველთვის გამოხატავს ხმამაღლა და მოურიდებლად. სჭირს რაღაც ამოუცნობი ფობია. არ მოსწონს არცერთი კანონი. ეწევა ანტინაციონალურ აგიტაციას. ვერაფერი მოვუძებნეთ. შეიძლება, „გავუჩალიჩოთ წკეპლა“; აქვე არის საუბარი მის მეუღლეზე – „ქმარზე უარესი ოპოზიციონერი. არ აცდენს არცერთ საპროტესტო აქციას. ვცდილობთ მის გადმობირებას, მაგრამ უშედეგოდ. არის თავის იდეების ერთგული და კარგი აგიტატორი“; „მშობლების ოპოზიციონერების მიუხედავად, არ ერევა პოლიტიკაში, არ არის შემჩნეული ანტინაციონალურ გამოსვლებში, მაგრამ არის ტექნიკური გაიძვერა, რადგან მან კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენ მიერ არაერთხელ შეთავაზებულ თანამშრომლობასა თუ სამსახურზე. ვფიქრობ, რომ საშიშია. შეიძლება გაჩალიჩება”. ძვირფასო მეგობრებო, ეს „ნაციონალური“ ქირქილი როდესაც დაიწყება ამ ტექსტებზე, ეს აუცილებლად ნახავს დღის სინათლეს, ბეჭდურ მედიას მივაწვდი და უმცირესობის გასაგონად, ვინც არ იცით, ვამბობ, ეს არის ხელების გადაგრეხა და თქვენს ენაზე ჩალიჩი, – განაცხადა ჩრდილელმა.

ნაციონალებმა ჩრდილელის განცხადებაზე მაგრად იხალისეს. ზოგიერთებმა მის მიერ წარმოდგენილი წერილები „ანა ფრანკის დღიურებს“ შეადარა. ნაცმოძი შოთა ხაბარელის განცხადებამაც აალელვა. გოკა გაბაშვილმა მას სპორტული წარსული გაახსენა. და კიდევ კარგი ასე მოიქცა თორემ შოთა ხაბარელს აღარ „ემახსოვრებოდა“ ოლიმპიური ჩემპიონი რომ იყო. ხაბარელი ამჟამად კრწანისის მაჟორიტარი გახლავთ და გუშინ გიგი უგულავა შემოეკრიტიკა. ის თბილისის მერს თბილისელებზე ზეწოლაში ადანაშაულებს.

– ჩვენ თბილისის მაჟორიტარ დეპუტატებს საგანგებო მდგომარეობაში გვიხდება მუშაობა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ 9 წლის განმავლობაში „ნაციონალური მოძრობიდან“ მარტო ხალხის შეურაცხყოფას ვხედავდით, ეს ტემპები დღეს არ არის შეჩერებული და თბილისის მერი ამას თავის გამგებლებთან ერთად კვლავ აგრძელებს. კერძოდ, ჩვენი ამომრჩეველი, როდესაც ჩვენთან მოდის და რაღაც პრობლემატურ საკითხებზე გვესაუბრება, მათ გამგეობაში ეუბნებიან, რომ მიბრძანდით და შოთა ხაბარელმა გაგიკეთოს გზა და მოგიგვაროს პრობლემებიო. აი, ამ ვითარებაში ხდება ჩვენი მუშაობა. მე მინდა, გითხრათ, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ, თბილისის მერმა გიგი უგულავამ შეკრიბა გამგებლები და უთხრა ასე, რომ დღეს ჩვენ გვჭირდება ხალხის მხარდაჭერაო და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვისო. მე მას აქედან ვეუბნები – მან ხალხის მხარდაჭერა დაკარგა, 1 ოქტომბერს მან გამანადგურებელი ანგარიშით წააგო არჩევნები და უბარლოდ, ამ ადამიანს უფლება არ აქვს, რომ თბილისს ხელმძღვანელობდეს, რადგან იმდენი პრობლემები დააგროვა ვითომ ფასადურად გაკეთებული შენობა-ნაგებობებით, – განაცხადა ხაბარელმა.

# თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თანამდებობებზე ვაკანსიები გამოცხადდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ვაკანტურ თანამდებობებზე, გუშინ კონკურსი გამოცხადდა. ამ თემასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროში, მინისტრის მოადგილემ თამარ ქაროსანიძემ ბრიფინგი გამართა და კონკურსის პირობების შესახებ ისაუბრა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ცხადდება. მასში მონაწილეობის მიღება კი, საქართველოს ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს შეუძლია, რომელსაც სათანადო ცოდნა და გამოცდილება ექნება, 21 წლის ასაკს მიაღწია და საქართველოს სახელმწიფო ენას ფლობს.

კონკურსი თერთმეტ ვაკანტურ პოზიციაზე ორ ეტაპად ჩატარდება. მათგან პირველი ტესტირება, მეორე კი გასაუბრება იქნება.

ტესტირებას სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი“ ჩაატარებს და შედეგებს თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს.

ნიუსპრესი

## ლაურა ლაჭავას და დავით კოდუას 600 ათასი, ხოლო ცეზარ ჩოჩელს 300 ათასი ლარის გირაო დაეკისრათ



თბილისის საქალაქო სასამართლომ ბანკი ,,ქართუს“ გაკოტრების საქმეზე 28 ბიზნესმენისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი განიხილა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულ ბიზნესმენ ლაურა ლაჭავასა და მის შვილს დავით კოდუას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 600 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

300 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს.

მათ ბრალად დიდი ოდენობით ქონების მითვისება მოჩვენებითი გარიგებით, ასევე ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენება აქვთ წაყენებული. გირაო შეეფარდათ დანარჩენ ბიზნესმენებსაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს ბანკი ,,ქართუს“ გაკოტრების საქმეზე ბრალდებული 28 პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელეს.

ბრალდებულებს შორის იყვნენ მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას დედა ლაურა ლაჭავა.

საქმეს მოსამართლე ბადრი შონია უძღვებოდა. ცეზარ ჩოჩელის ინტერესებს ადვოკატი გოგიტა გაბაიძე იცავდა.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასული წლის დეკემბერში განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ბანკ ,,ქართუს“ გაკოტრების მცდელობის დანაშაულებრივი სქემა გაშიფრა და საქმესთან რამდენიმე ბიზნესმენის კავშირი აღმოაჩინა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ქანთარია ოპოზიციას 19 აპრილს საზოგადოებისათვის ბოდიშის მოხდას ურჩევს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს 19 აპრილს საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდისაკენ მოუწოდებს.

მან ამის შესახებ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა. ქანთარიამ ოპოზიციონერ კოლეგებს ურჩია, 19 აპრილს დაგეგმილი აქცია მათ განვლილ ცხრაწლიან საქმიანობას მიუძღვნან და სწორედ ამ დღეს საზოგადოებას ბოდიში მოუხადონ. იგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციაში ყოფნისა და ხელისუფლების კრიტიკის მორალური თუ პოლიტიკური უფლება.

,,მინდა გავერკვიო, რას ნიშნავს ეს სარეიტინგო გამოკითხვა. ვამბობთ, რომ კონსტიტუციაში დევს ბოროტება და მისი სამართლიანობით შეცვლაა საჭირო. თქვენ კი აცხადებთ, რომ რამდენი კაციც დაგვჭირდება, იმდენი გახდება სამართლიანი. ეს ხომ თქვენი სინდისის, ნამუსის და მრწამსის გადაწყვეტილებაა“, — მიმართა ნუკრი ქანთარიამ ოპოზიციას.

მისივე თქმით, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უნდა, ოპოზიციური ძალა გახდეს და იყოს ხელშეუხებელი, რასაც საზოგადოება არ ცნობს.

მედიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილმა მუსლიმანებს ნოვრუზ ბაირამი მიულოცა

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მუსლიმანებს ნოვრუზის დღესასწაულს ულოცავს.

,,ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო,

მინდა საერთო ეროვნული დღესასწაული ნოვრუზ ბაირამი მოგილოცოთ. ეს ოჯახური დღესასწაულია და საქართველოც, როგორც ერთიანი ოჯახი, მომავლის რწმენითა და სიხარულით აღნიშნავს გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს.

ნოვრუზ ბაირამი საქართველოში 2010 წელს გახდა საერთო ეროვნული დღესასწაული და შეუერთდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომელმაც ეს დღე მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის მონაპოვრად გამოაცხადა.

ჩემო ძვირფასებო,

მინდა მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატება გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის მილოცვაში.

მედიანიუსი

# პეტრე მამრაძე: ,,ექვმიტანილების გირაოს ნაცისტები იხდიან თავისი ,,ობშჩიაკიდან“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე პეტრე მამრაძესთან



***— პირველ რიგში საინტერესო იქნება თქვენი შეფასება ევროპის სახალხო პარტიისა და პრემიერ ივანიშვილის მიმოწერასთან დაკავშირებით.***

— ეს ფრიად კოლორიტული საერთაშორისო მიმოწერა დაიწყო ოცდასამი ევროპარლამენტარის ცნობილი მიმართვით ივანიშვილისადმი. ყველას ვურჩევდი გადაიკითხოს ეს ტექსტი. მასში არც ერთი სიტყვა არ შეესაბამება სინამდვილეს. უფრო მეტიც, ,,23-ის წერილი“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ აბსურდულ ცილისწამებას, რომელსაც ავრცელებს სააკაშვილი თავის თანამზრახველებთან ერთად ივანიშვილისა და მისი კოალიციის მისამართით 2011 წლიდან დღემდე. ევროპარლამენტში სულ 754 წევრია. ევროპის სახალხო პარტიაში 270 დეპუტატია გაერთიანებული. ის, რომ მხოლოდ ოცდასამმა დეპუტატმა მოაწერა ხელი ამ ცილისმწამებლურ წერილს, მას შემდეგ, რაც მრავალი წლის განმავლობაში (ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან!) სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ყველაფერს აკეთებდნენ ევროსტრუქტურებთან თავისი ურთიერთობის ,,დასალაგებლად“, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ ათობით მილიონი დოლარი დახარჯეს ლობირებასა და უცხოელების გამასპინძლებაზე საქართველოში, ,,დასავლეთის ფრონტზე“ ნაძირალების სრულ კრახზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში დასავლეთის ავტორიტეტული ორგანიზაციები, ცნობილი ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები, სრულ სიმართლეს აქვეყნებდნენ იმ ყბადაღებულ ძალადობაზე და დანაშაულებზე, რასაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა. ამის არდანახვა და არგაგონება მხოლოდ რეალობას სრულიად მოწყვეტილ, ან დაინტერესებულ ადამიანს შეეძლო.

***— ვენეციის კომისიის დასკვნას როგორც ნაციონალები, ასევე ქართული ოცნება თავის სასარგებლოდ კითხულობენ და ორივე პოლიტიკური ძალა საკუთარ ინტერესებს არგებს. როგორ ფიქრობთ, აღნიშნული დასკვნა საქართველოში სასამართლოს რეფორმირებას და მართლმსაჯულების განვითარებას შეუწყობს ხელს?***

— მთელი ერის წინაშე დგას ამოცანა — რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ სასამართლოს დამოუკიდებლობას ნებისმიერი პოლიტიკური ზეწოლისა და კონტროლისაგან. ივანიშვილმა პრიორიტეტი მიანიჭა ამ ამოცანას ჯერ კიდევ 2011 წლის შემოდგომაზე, როცა პოლიტიკაში მოვიდა. მმართველი კოალიციის მიერ მომზადებული ცვლილებები სწორედ სასამართლოების გათავისუფლებას უზრუნველყოფს. ვენეციის კომისიის დასკვნა ძირითადად ეთანხმება კოალიციის პროექტს. ეს რომ ასეა, კომისიის დასკვნის წაკითხვის გარეშეც ცხადია. მართლაც, ერთი მკვეთრი უარყოფითი ფრაზაც რომ ყოფილიყო დასკვნაში, ნაცისტები სულ სხვა დონის წივილ-კივილს ატეხდნენ და იმ ფრაზასაც მრავალჯერ გაახმოვანებდნენ.

***— საზოგადოებას დიდი მოლოდინი ჰქონდა და გაცხოველებული ინტერესით ადევნებდა თვალს კოტე კუბლაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას. თუმცა ის შედეგი არ ყოფილა, რაც საზოგადოებისთვის იქნებოდა სასიამოვნო, ანუ ივანიშვილს კუბლაშვილის მიმართ არც ერთი კრიტიკული ფრაზა არ გამოუთქვამს. რა არის ეს, დიპლომატიური მანევრი, კოჰაბიტაციის მცდელობა თუ შეგუება ნაციონალების მიერ კონტროლირებული სასამართლო ხელისუფლებისადმი?***

— წლების განმავლობაში კოტე კუბლაშვილი დიდ დანაშაულს სჩადიოდა და ახლაც სჩადის. საქმე ისაა, რომ ის დათანხმდა ყოფილიყო უზენაესი სასამართლოს დეკორატიული თავმჯდომარე იმ პირობებში, როდესაც მთელი სასამართლო სისტემა მონურად დაემორჩილა სააკაშვილს (უცხოურ ექსპერტებს ვციტირებ) და მის თანამზრახველებს და ზურაბ ადეიშვილი პირდაპირ ზეპირ ბრძანებებს აძლევდა ნებისმიერი რანგის მოსამართლეებს. კოტე კუბლაშვილთან ლაპარაკს არც კადრულობდა. უფრო მეტიც, ადეიშვილი თავის კანონსაწინააღმდეგო ბრძანებებს თავის მოადგილეებს გადასცემდა (ყველაზე ხშირად ვინმე ლობჟანიძეს, მეტსახელად ,,ლობჟანა“) და მოსამართლეებს სწორედ ისინი უკავშირდებოდნენ. ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს ადეიშვილი, მერაბიშვილი და სააკაშვილი ერთად წყვეტდნენ, თუმცა ადეიშვილს თავისუფლების ხარისხი საკმაოდ დიდი ჰქონდა. ოქტომბრის შემდეგ კუბლაშვილი გადაიქცა სააკაშვილის უკანონო ბრძანებების უშუალო შემსრულებლად. ექვმიტანილებს სასამართლოდან გირაოთი უშვებენ, გირაოს კი ნაცისტები იხდიან თავისი ,,ობშჩიაკიდან“. დაკავებულებმა იციან, რომ ასე იქნება და არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. ამის შედეგად ახალი პროკურატურა ხშირად უძლურად გამოიყურება და საზოგადოების დიდი ნაწილი ღიზიანდება. ამ ფონზე ივანიშვილის შეხვედრა კუბლაშვილთან და ივანიშვილის შემდგომი შეფასებები გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შედეგად კუბლაშვილი შეცვლის თავის დანაშაულებრივ საქმიანობას. ამის ღია ნიშნები ჯერ არ ჩანს. ვნახოთ, როგორ განვითარდება ეს სიტუაცია.

***— საინტერესოა, როცა ევროკავშირი და სხვა წამყვანი ორგანიზაციები ახალ ხელისუფლებას ოპოზიციასთან კოჰაბიტაციისკენ მოუწოდებენ, რა იქნებოდა მათი რეაქცია, მათ განვითარებულ ქვეყნებში იმ მასშტაბის დანაშაული და უკანონობა მომხდარიყო ყოველდღიურად, როგორიც საქართველოში ხდებოდა?***

— განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლება ასეთი მასშტაბის დანაშაულს ვერც ჩაიდენდა, ვინაიდან ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მასმედიის და თავისუფალი სასამართლოების არსებობა ავტომატურად უზრუნველყოფდა იმას, რომ დანაშაული ჩანასახშივე აღიკვეთებოდა. რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გაასამართლეს იმისათვის, რომ მრავალი წლის წინათ, როდესაც პარიზის მერი იყო, რამდენიმე (როგორც მახსოვს, შვიდიოდე) თანაპარტიელი თუ მხარდამჭერი დაასაქმა. თანაც ის ადამიანები მომღერალი-ალპინისტი-დამსუფთავებლები არ ყოფილან, ისინი მართლა მუშაობდნენ. იტალიის ყოფილი პრემიერი ბერლუსკონი უკვე რამდენჯერმე გაასამართლეს. ბალკანეთის ერთ-ერთი ქვეყნის ყოფილ პრემიერს ახლახან 9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ა.შ. ვასახელებ მაგალითებს უახლოესი ისტორიიდან. ჩვენთან სხვა ვითარებაა. ბოლო წლებში სააკაშვილის რეჟიმი ავტორიტარულ კლეპტოკრატიას, ანუ ხაზინის ქურდების ავტორიტარულ რეჟიმს წარმოადგენდა. რეჟიმი იქით აპატიმრებდა და ყველაფერს ართმევდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. გავიხსენოთ, როგორ მოექცნენ იტალიელები მუსოლინის, რუმინელები ჩაუშესკოს და მისი ოჯახის წევრებს... დასავლელი მოღვაწეების ნაწილს უჭირს აღიაროს, რომ ადრე ტყუილს ამბობდნენ სააკაშვილის დემოკრატიულობაზე. საკუთარი სახის შენარჩუნებისათვის მათ ურჩევნიათ ყველაფერს ,,რესპექტაბელური“ და ,,პოლიტიკურად კორექტული“ იერი მიეცეს (ხელისუფლების მშვიდობიანი, დემოკრატიული გადაცემა, კოჰაბიტაცია და ა.შ.). თუმცა, სხვებიც არიან. მაგალითად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი აქეთ ითხოვს სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებების სწრაფ გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას.

***— ხომ არ არის ახალი ხელისუფლების სისუსტე, რომ დღეს დასავლეთი ნაკლებად ინფორმირებულია ან სხვა რაიმე მიზეზის გამო აკრიტიკებს ქართულ ოცნებას?***

— აშკარაა, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს კომუნიკაციის პრობლემა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. გაცილებით მეტს უნდა აკეთებდნენ იმისათვის, რომ სიტყვით და საქმით აუხსნან დასავლეთსაც და საკუთარ მოქალაქეებს რა ვითარებაა ქვეყანაში და რას აკეთებენ თვითონ. თუმცა სიმართლეს დიდი ძალა აქვს, სიმართლე კი ივანიშვილის მხარესაა. საბოლოო ჯამში, სიმართლე გაიმარჯვებს და სამართალიც პურს ჭამს.

***— ნაცმოძრაობის ჩანაფიქრის ამოცნობას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. ოქტომბრამდე ნაციონალები შეეცდებიან მაქსიმალურად მოახდინონ ქართული ოცნების დისკრედიტაცია ქვეყნის შიგნით და გარეთ, უკმაყოფილების ტალღაზე განახორციელონ ხელისუფლებაში დაბრუნების სქემა, რომლითაც, სავარაუდოდ, მერაბიშვილი პრეზიდენტის სავარძელს დაიკავებს, სააკაშვილი პრემიერისას. როგორ გგონიათ, აქვთ მათ ამ სქემის განხორციელების რესურსები?***

— აშკარაა, რომ ნაცისტები მსგავს სქემებს ამუშავებენ. ინფორმაციაც ჟონავს და მათი მოქმედებაც ადასტურებს მათ ზრახვებს. ამ სქემის ბოლომდე განხორციელების რესურსი არ გააჩნიათ. დღეს მოქმედი კონსტიტუციით, სააკაშვილს 1 აპრილის შემდეგ მთავრობის დათხოვნის უფლება ექნება. იმედია, პარლამენტი მანამდე შეცვლის კონსტიტუციას და გამოართმევს ,,იდიოტ ბავშვს“ (დაგ ბენდოუს სიტყვებით) ამ ხელყუმბარას. ეს თუ არ გაკეთდა, ზოგიერთი ევროპარლამენტარის განცხადებით, გათამამებულმა სააკაშვილმა მართლაც შეიძლება დაითხოვოს მთავრობა. საბოლოოდ ამ სიგიჟეს თვითონ გადაყვება, მაგრამ ქვეყანასაც დიდ ზიანს მიაყენებს.

***— კვლავ საუბარია ნაცმოძრაობის მხრიდან, რომ ივანიშვილი დასავლეთს უწყრება და რუსეთის წინაშე მუხლებზე დგას. ამავე დროს ნაციონალებს მოჰყავთ ივანიშვილის ფრაზები სომხეთში ვიზიტის დროს, რომ სომხეთი მისთვის სამაგალითო დიპლომატიის ქვეყანაა. ამ ნიშნებით შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ქვეყნის საგარეო ვექტორი ჩრდილოეთისკენ იხრება?***

— პირიქით, წლების განმავლობაში სააკაშვილი და მისი გუნდი ანტიეროვნულ და, შესაბამისად, ანტიდასავლურ პოლიტიკას ატარებდნენ. ცრუპატრიოტიზმი ნაძირალების ბოლო თავშესაფარია. სააკაშვილი სისტემატურად აკეთებდა ,,პროდასავლურ“ განცხადებებს, საქმით კი პუტინის ჩეკისტური რეჟიმის ყველა დაკვეთას ასრულებდა. გაიხსენეთ ლინკოლნ მიტჩელის წერილი ,,ვინ აკეთებს რუსულ საქმეს საქართველოში?“, სადაც საქართველოს შესანიშნავი მცოდნე სწორედ იმაზე წერს, რომ პუტინის პირადი აგენტი სააკაშვილზე უკეთესად ვერ შეასრულებდა პუტინის დავალებებს. შედეგიც სახეზე გვაქვს. ახლა გვაქვს შანსი, რომ ახალი ხელისუფლება ეროვნულ პოლიტიკას განახორციელებს. შესაბამისად გაჩნდება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების რეალური პერსპექტივა. დასავლეთი ყოველთვის გვთხოვდა, რომ რუსეთის ხელისუფლების გაღიზიანებას მოვრიდებოდით, ვინაიდან ეს სწორედ დასავლეთს უქმნის დიდ პრობლემას. ივანიშვილი სწორედ ამას გააკეთებს. ეს თქვა კიდევაც: ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ისე მოვახდენთ ჩვენს ინტეგრირებას, რომ რუსეთს არ გავაღიზიანებთ. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ ამის გაკეთება შეიძლება.

## შსს–მ 3 დღის წინ მომხდარ მკვლელობაში მონაწილე მესამე პირიც დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, 18 მარტს მომხდარ მკვლელობასა და ყაჩაღობაში მონაწილეობის ბრალდებით 1978 წელს დაბადებული ლევან ა. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, ორ თანამზრახველთან — კონსტანტინე რ-სა და მეგი მ-სთან ერთად, 18 მარტს, გამთენიისას, ე.წ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ტაქსის მძღოლის ყაჩაღობისა და მკვლელობის საქმეში მონაწილეობდა. მძღოლის სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ ლევან ა. თანამზრახველებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მისი დადგენა-დაკავების მიზნით მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები. სამართალდამცველებმა ბრალდებული ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან ლ. წარსულში ყაჩაღობისთვისაა ნასამართლევი.

ამავე მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი, კონსტანტინე რ. და მეგი მ. სამართალდამცველებმა გუშინ დააკავეს. გამოძიება აღნიშნული პიროვნების მიმართ საქართველოს სსკ-ს 376-ე (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## ამნისტიის კანონით კიდევ 21 პატიმარი გათავისუფლდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 19 მარტს, ,,ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 21 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა.

მთლიანად კი, 2013 წლის 19 მარტის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, სულ 8 378-მა ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 — პოლიტპატიმარია, 372 — მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 21— არასრულწლოვანი.

ნიუსპრესი

# ე.წ. თურქი-მესხებისთვის დაბრუნების პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული უნდა იყოს

**ნათია ხურცილავა**

თურქი-მესხების დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ თურქ ჟურნალისტთან ინტერვიუში ისაუბრა.

ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ძალღონეს არ იშურებს, რომ ე.წ. „თურქი-მესხებისთვის" დაბრუნების პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული იყოს.

ამის შესახებ ფანჯიკიძემ, როგორც აღვნიშნეთ, თურქულ გამოცემა „საბაჰისთან" ინტერვიუში განაცხადა.

პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. პირველი ეტაპი გახლავთ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთაგან განაცხადების მიღება. ჩვენთან შემოვიდა 5 841 განცხადება 8.900 პირისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების უმრავლესობა იყო ხარვეზებით. შემუშავდა მექანიზმი, რომლის თანახმადაც სტატუსის მაძიებლებს აღნიშნული ხარვეზების გასწორების შესაძლებლობა მიეცათ. რეპატრიანტის სტატუსი მიღებული აქვს 864 მოქალაქეს. მათგან 6 პირს შეტანილი აქვთ განაცხადი საქართველოს მოქალაქეობაზე. საქართველოს მთავრობა ასევე აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რეპატრიაციის სტრატეგიასა და ინტეგრაციის პროცესზე. არის გარკვეული ეტაპები, რაც სავალდებულოა, რომ ყველა სტატუსის მაძიებელმა და უკვე სტატუსის მქონე პირმა გაიაროს. საქართველოს მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად გამარტივებული იყოს დეპორტირებული პირებისათვის, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.




## ანდრო ბარნოვმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მრჩევლად შალვა ტრამაკიძე დანიშნა



შიდა ქართლის გუბერნატორმა ანდრო ბარნოვმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მრჩევლად შალვა ტრამაკიძე დანიშნა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბარნოვმა განაცხადა, შალვა ტრამაკიძე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ძალოვან უწყებებში მუშაობდა, მათ შორის — შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ. სამხარეო პოლიციიდან შალვა ტრამაკიძე პირველი ოქტომბრის შემდეგ, საკადრო ცვლილებებისას გაათავისუფლეს.

ანდრო ბარნოვის თქმით, ტრამაკიძე გუბერნატორის მრჩევლის მოვალეობის შესრულებას პირველი აპრილიდან შეუდგება. ამას გარდა, ბარნოვმა საქართველოს მთავრობასაც მიმართა თხოვნით, რომ მას ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმების ფორმატში მიმდინარე შეხვედრებში ჩართვის უფლება მისცენ.

**მედიანიუსი**

# ჯავახეთში სეპარატიზმის საფრთხე არ არის

**როცა ჯავახეთზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში საქართველოს სომხურენოვანი მხარე წამოგვიტივდება აზროვნებაში. არადა ჯავახები არიან ქართული სუბეთნოსის წარმომადგენლები და ასეთი სახელწოდებაც ისტორიულმა მხარემ მათ გამო მიიღო. ჯავახური დიალექტის სიღრმისეული ანალიზით დგინდება, რომ მასში არის აღმოსავლურ ქართულისა და კოლხური ენის დანაშრევები. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჯავახეთი ქართული ენისა და მეგრულ-ჭანურის შესაყარზე მდებარეობს და თავისთავად ეს გასაკვირი არ არის. წყაროებში ჯავახეთი, რომელიც ზააბახის სახელითაა ცნობილი, პირველად ქრისტესშობამდე მე-8 საუკუნეშია ნახსენები. დღეს ჯავახეთად თვლიან იმ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია ახალქალაქის, წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, თუმცა მისი არეალი ბევრად უფრო დიდი იყო და წალკის პლატოს გარდა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მოიცავდა. ისტორიულად ის ზემო ქართლს მიეკუთვნებოდა და სხვადასხვა პერიოდში ქართველთა მეფის საბრძანისის, საქართველოს თუ საათაბაგოს ნაწილებს წარმოადგენდა. სამწუხარო რეალობაა, რომ ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი თურქეთის შემადგენლობაშია, ამის საფუძველი კი ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკის ბრალია.**

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**„ახალი თაობის იმერეთის ბიურო**

რადგან სამხრეთიდან წამოსული მტრის პირველი დაჯახების წერტილი ხშირად ზააბახი იყო, ამიტომ ამ მხარეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ ჯავახეთში არსებულ ციხე-სიმაგრეებსა და სამალავებს, რომლებიც დიდი შიშიანობის დროს ჯავახების თავდასაცავ საშუალებებს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნეში, როცა საქართველოს ყველა პროვინცია რუსეთმა შეიერთა, თითქოს სამხრეთ საქართველოს ტრაგიკული ბედი უნდა დასრულებულიყო. რუსეთ-თურქეთის ომის დასრულებას ჯავახეთის თურქთაგან გათავისუფლება მოჰყვა, მაგრამ ჩრდილოელი დამპყრობელი დაბეჩავებული ქართველების ცხოვრების გამოსწორებას არ გეგმავდა. მაქსიმალურად გაწმინდეს ქართველებისაგან ეს კუთხე და სანაცვლოდ ჩამოასახლეს სომხები, ბერძნები, ქურთები, თარაქამები, დუხობორები. იგეგმებოდა კაზაკებისა და გერმანელების ჩამოსახლებაც. სომხები, თურქულენოვანი ბერძნები და ქურთები თურქების დევნულობის გამო საქართველოს სამხრეთ ნაწილში ჩაასახლეს და თანდათანობით დაიკავეს ის ნიშა, რომელიც ჯავახებს (მესხებსაც) დომინანტურად ეჭირათ სამხრეთ საქართველოში მანამდე. არაქართველი მოსახლეობა რუსეთის საიმედო დასაყრდენი გახდა ჯავახეთში, განსაკუთრებით სომხებსა და დუხობორებს ჰქონდათ სანდოობის მაღალი კოეფიციენტი რუსული ცარიზმისათვის. მთავარმართებელი პასკევიჩი ასე აფასებდა ჯავახეთს საუკეთესო ადგილი რუსი კოლონისტებისათვის. ასეთი ავბედითი ისტორიის გამო სამხრეთ საქართველოში ზემოთ ნახსენებ სუბეთნოსს, ფაქტობრივად, გენოციდის პირობებში აყენებდნენ. 1830 წლებში ყარსის, არზრუმის, არდაგანის და ბაიაზეთის საფაშოებიდან გამოქცეული სომხების 14 ათასი ოჯახი ჩამოასახლეს, თითოეულ მათგანს 25 მანეთ დახმარებას აძლევდნენ და 6 წლით ათავისუფლებდნენ სახელმწიფო გადასახადებისგან. სომხურ დასახლებებში ქართველების ცხოვრება აკრძალეს, რის გამოც მოხდა მონოეთნოზიცია ამ ტერიტორიებისა. ამას ემატებოდა ადგილობრივი არისტოკრატიის სულმდაბალი გადაწყვეტილებებიც (ქართველ თავადებს უფლება ეძლეოდათ რუსული კანონმდებლობით, რომ სოფლები მიეყიდათ ხაზინისათვის ან არაქართველ პირებზე. სიტუაციის თვალნათლივობისათვის ისიც კმარა გავიხსენოთ, როგორ გაყიდა ახალქალაქის სანჯაყ-ბეგმა ფალავანდიშვილმა 29 სოფელი რუსეთის ხაზინას).

დიდი სომხეთის აღდგენის მსურველი სომხების ამბიციურობა ძალიან კარგადაა ცნობილი. კონფლიქტოლოგები, რომლებიც კავკასიის საკითხებზე მუშაობენ, ამბობენ, რომ სამხრეთი საქართველო ნაკლებად მოიცავს სეპარატიზმის ელემენტებს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ოსებს ჰქონდათ დიდად გამოხატული სეპარატისტული მიდრეკილება, თუმცა მესამე ძალის ჩარევით სამაჩაბლო საქართველოსაგან დეფაქტო გამოყოფილია. ჯავახეთის მოსაზღვრე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღესაც აშკარაა ქართული დასახლებების კვალი (ქართული ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, საფლავები), ანუ სომხეთმა საქართველოს უსუსური ხელისუფლების პერიოდში მიითვისა ძირძველი ტერიტორიები, თუმცა ახლა ჯავახეთში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა პოლიტიკური ამბიციებისაგან დაცლილია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მშრომელი ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა არ აყენებს არც სეპარატისტულ მოთხოვნებს და არც პრეტენზიულები არიან არსებული ხელისუფლების მიმართ. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა ყოველთვის მხარს არჩევნებზე მხარს უჭერს არსებულ ხელისუფლებას და არ გამოირჩევა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებით.

ბოლო პერიოდში ჯავახეთისათვის რეგიონულ ენად სომხურის წამოწევის მცდელობა მაინცდამაინც სასარგებლო არ უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე არაერთი სახელმწიფოა, სადაც რამდენიმე ენა მოქმედებს ოფიციალურად, მაგრამ საქართველოს ფართობიდან და ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე ასეთი რამე დაუშვებელიცაა იმ თვალსაზრისით, რომ ეს ყველაფერი კიდევ უფრო იზოლირებულს გახდის ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სომხებს. ტერიტორიული თვალსაზრისითაც საფრთხის შემცველია ასეთი ნაბიჯების გადადგმა, თუმცა რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ მოხდეს ჯავახეთის მოსახლეობის სრული ინტეგრაცია, ეს მეორე საკითხია. ქართული ენის სწავლების სურვილი სახელმწიფომ გამოთქვა რამდენიმე წლის წინ, გაგზავნა მოხალისე პედაგოგები მაღალი ანაზღაურების მიღების ხარჯზე, თუმცა რეალობა მაინც ის არის, რომ მოკლევადიანი სასწავლო პროგრამებით სახელმწიფო ენის დაუფლება ვერ მოხერხდა საფუძვლიანად. ქართულენოვან სამყაროში მოხვედრილი ნინოწმინდელი სომხები აშკარად ამჟღავნებენ ქართული ენის დეფიციტურ ცოდნას, თუმცა სწორედ ქართულენოვანი გარემო და სასწავლო პროგრამების ხანგრძლივი კურსები ამ პრობლემას მნიშვნელოვანწილად მოაგვარებენ.

სახელმწიფო ენის ცოდნის ვალდებულებით ბევრის მიღწევას ვერ შევძლებთ. არც სომხური ენის დაკნინებით მიიღება შედეგი ჯავახეთში (სახელმწიფო თანამდებობებზე ქართულის მცოდნე სომხების დანიშვნითაც რომ გამოიხატოს ეს ფაქტი), საჭიროა მეტი მოტივაცია ჯავახეთის მოქალაქეებისათვის. ჯავახეთში ქართული ენის პოზიციების გასამტკიცებლად უნდა შემუშავდეს სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც შინაგან მოტივაციას შეუქმნის არაქართულენოვან მოსახლეობას.

2007 წელს ახალქალაქის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება სომხური ენის შესახებ რომ ანტიკონსტიტუციურია, ამაზე დავას აზრი არ აქვს (თავად საქართველოს კონსტიტუციაში, თუ არ ვცდები, 25-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი). თუ ნინოწმინდელ ან წალკელ მშრომელ სომეხს დაეკითხება ვინმე, სურს თუ არა რეგიონულ ენად იქნას სომხური აღიარებული, მას აუცილებლად გაუკვირდება, რადგან სომხებს თავიანთი ენა რეგიონში ისედაც აქვთ შეუზღუდავად აქვთ გამოყენებული ენის ძირითადი ფუნქციით კომუნიკაციისათვის. როცა ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა, რას უნდა ემსახურებოდეს ამ საკითხის მწვავედ წინ წამოწევა?!

ძაღლის თავი სეპარატიზმში უნდა ვეძებოთ თუ იმ საშუალებაში, რომელიც ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციაში გამოიხატება? სამიზნე ამჯერად ,,რესპუბლიკური პარტია" ხომ არ არის, რომელიც მყარ პოზიციებს ინარჩუნებს საპარლამენტო და სამთავრობო შტოებში?

# თანამედროვე ხატმებრძოლობა

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**„ახალი თაობის იმერეთის ბიურო**

მოგვიანებით მინდა გამოვეხმაურო სტალინის ძეგლების გადატანა-გადმოტანას და ,,მოხატვას".

რატომღაც მე-8 საუკუნეში რელიგიური დაპირისპირება წარმოიშვა ქრისტიანულ სამყაროში. ლეონ მესამის ბრძანებით დაწყებულმა ხატმებრძოლობამ ფართო მასშტაბი მიიღო და ტაძრებიდან ხატების გამოტანა კერპთაყვანისმცემლობის საბაბით მასობრივად ხდებოდა. რასაკვირველია, სასულიერო ფენებში იმპერატორ ლეონის ბრძანებამ აღშფოთება გამოიწვია და ხელისუფლებამ ამით ისარგებლა: მეამბოხე ეკლესია-მონასტრებს ქონება ჩამოართვა. ლეონმა ნაძარცვით სახელმწიფო ხაზინა შეავსო და ხელისუფლება დროებით მაინც განიმტკიცა. 843 წელს, 11 მარტს, დედოფალ ირინეს დროს დაწყებული ხატთაყვანისცემის აღდგენა (787 წელი, ნიკეას მსოფლიო საეკლესიო მე-7 კრება) ოფიციალურად გამოცხადდა მართმადიდებლობის ზეიმად (ამ დღესასწაულში მართლმადიდებლები დიდმარხვის პირველ კვირას ზეიმობენ).

ისტორია მეორდება თუ იმეორებენ იმისათვის, რომ გამოიყენონ წარსული გამოცდილება?

პრორუსი და პრორუსული ყველაზე მარჯვე სიტყვებია მათ წინააღმდეგ, ვისი დისკრედიტაციაც სჭირდებათ ქართულ პოლიტიკაში. ახლო წარსულს თვალს თუ გადავავლებთ, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული პოზიცია მხოლოდ გამსახურდიას ხელისუფლებას ჰქონდა. ერთხელ გონიერმა ადამიანმა მითხრა: საქართველოში ველარასდროს მოვა ხელისუფალი, რომელსაც ან პრორუსული ან დასავლური ორიენტაცია არ ექნებაო. ვინც რა უნდა, ის აბრალოს ერთმანეთს, მაგრამ რა დემოკრატიული ნაბიჯია სტალინის ძეგლთმებრძოლობა?! არც ის მგონია, რომ საღებავის გადასხმა ნიშნავდეს ანტირუსული პოლიტიკის გატარებას და მით უფრო—პატრიოტიზმს. სოციალურ ქსელებში ორდროშიანი ავატარის მქონე ადამიანების უმეტესობა ,,აბა, გრეჩიხა სჯობდას" პრინციპით დათარეშობს და რუსოფილების იარლიყებს აწებებს ბურჯანაძეს, კუკავას, ხაბურძანიას, ივანიშვილს, დავითაშვილს (შესაძლოა, ამათთაგან ზოგს იარლიყის მიწებება არც დასჭირდეთ, თავად აცხადებს ხაბურძანია, რომ რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია). თუ არ ვცდები, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც რუსულ ორიენტირს არ წამოაძახებენ-ხოლმე, რესპუბლიკელები არიან. ერთხელ სალომე ზურაბიშვილმა რადიო ,,იმედის" ეთერში იხუმრა, რომ რუსეთის აგენტი ვარო და რამდენიმე წუთში დარეკა ქალბატონმა: მოაცილეთ ეთერს ეგ რუსეთუმეო (სხვათაშორის, ზურაბიშვილის დიპლომატიის მიღწევა რუსეთთან მიმართებაში პოზიტიურად მახსოვს).

რატომ დასჭირდათ ბოლო პერიოდში სტალინის ძეგლების თემების წამოწევა? სტალინზე მლოცველი ბევრი აღარავინ მგონია ამქვეყნად. 70 წელს გადაცილებულ ადამიანებში კიდევ შესაძლებელია, რომ სტალინის ხსენებამ დადებითი ემოცია გამოიწვიოს, თორემ ახალგაზრდების უმეტესობას სტალინიადა სულაც არ აღელვებს. წითელი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო თავისებური რელიგიური დამოკიდებულება. როგორც ყველა მომდევნო რელიგია ცდილობდა წინმსწრების დისკრედიტაციას, ასევე ეცადა კომუნისტური წყობა, რომ ყველა ფორმაცია გაეკრიტიკებინა.

ლენინმა მოსინჯა საფუძველი ათეისტური საზოგადოების ჩასაყრელად. მან განაცხადა, რომ არ არსებობდა ღმერთი და ყველა რწმენა იყო სიცრუეზე დაფუძნებული იდეალისტური მოძღვრება. მატერიალური მოძღვრება კი მარქს, ენგელსსა და ლენინს რეალურად წარმოაჩენდა სოციალ-დემოკრატიის ხორციელ მესიად. თუ ვინმეს ახსოვს ისტორიის სახელმძღვანელოდან, მარქსს კაპიტალისტ ენგელსის ოჯახი ეხმარებოდაო, სტალინს ჰალეს უნივერსიტეტდამთავრებული ცოლისძმა უმართავდა ხელს, ნიშანდობლივი ხომ არაა, რომ სოციალიზმი თავიდანვე კაპიტალისტურ დასავლეთზე იქნებოდა მატერიალურად დამოკიდებული?!

ლენინის მავზოლეუმიზაციამ რამდენადმე გაიმეორა ქრისტეს გარდამოხსნის სცენა. მართალია. ლენინი ცად ვერ ამაღლდა, მაგრამ მისმა მოწაფეებმა სასწრაფოდ დაიწყეს ახალი ფორმაციის გავრცელება. ყველა მიმართულებით წითელი პოლიტორიენტაციის გავრცელება დაიწყეს ბოლშევიკებმა, თუმცა ლენინის განღმრთობის იდეის აგიტატორები ცვლიდნენ მოციქულთა სახელებს. უზენაესი უცვლელად იყო ლენინი, ხოლო მისი მოციქულები იყვნენ მორიგეობით სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი... საბოლოოდ კი, კაცთა ხელოვანებით შექმნილი რელიგია, ბოლშევიზმი, სხვა კერპთაყვანისმცემლობათა მსგავსად დაემხო.

ახლა რომ გამოჩნდნენ სასულიერო პირები და არმაზის კერპს ეთაყვანეთო, დაახლოებით იგივე ეფექტი აქვს სტალინიზმის წინ წამოწევას. ეს კარგად იციან იმ ადამიანებმა, რომლებიც სტალინის სახელს ყველა ოპონენტს ატენიან პიტნასავით.

ვერ გეტყვით, ვინ აცრემლდებოდა სტალინის ძეგლების მოთხუპვნის გამო, თუმცა საღებავის ხარჯვა ნამდვილად უაზრობაა და მით უფრო, შეღებვის შედეგი ნულის ტოლფასია. პოლიტიკური ტემპერატურის აწევა ნამდვილად აღარ მოხერხდება ძეგლების შეურაცხყოფით. საღებავები, რომელსაც შეურაცხყოფის საშუალებად იყენებთ, იქნებ რამე კოროზირებულ ლითონის კონსტრუქციას გადაუსვან და ლითონს სიცოცხლე გაუხანგრძლივონ, თორემ სტალინის სახელს ,,კრასკით" აღარც აკლდება და აღარც ემატება.

თავს ნებას მივცემ და ჰიუგოს სიტყვების ინტერპრეტაციას გავაკეთებ: ,,კრასკის" შესხმა ველურობის ისეთი ფორმაა, რომელსაც თანხმდება ცივილიზებული სამყარო, მიიღოს თავის წრეში!

სულ ბოლოს კი პოლიტიკურ სხარტულას შემოგთავაზებთ: მიშა ეუბნება თევზაობიდან მობრუნებულ კბილაშვილს: არჩილ, ეს ერთი ვედრო თევზი ანკესით დაიჭირე თუ პოლიტიკურით?!

და კიდევ, ცხენს როცა ვერაფერს აკლებ, უნაგირს ნუ დაამტვრევო, —უთქვამს ჩვენს გონიერ წინაპარს. თანამედროვე ვარიაცია კი ასეთი იქნება: ივანიშვილს თუ ვერაფერს აკლებ, სტალინის ძეგლს ნუ გადაღებავო...

# მიგრანტთა რეინტეგრაციისათვის ევროკავშირი ახალ პროექტებს იწყებს

მერი ნამორაძე

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი პლატფორმის ფარგლებში მიგრაციისა და თავშესაფრის პანელის სხდომა გაიმართა. შეხვედრის ძირითად თემას დაბრუნების, რეადმისიის და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის საკითხები წარმოადგენდა. სხდომას მასპინძლობდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც მიგრაციის საკითხთა სამთავრო კომისიის სამდივნოს აღმასრულებელმა მდივანმა, გიორგი ჯაშმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, საქართველო არის ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მონაწილე მხარე. ეს პანელი სწორედ ერთ-ერთი კომპონენტია სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესასრულებელი საქმისა:

– ქართული მხარე აქტიურად არის ჩაბმული იმ პროცესებში, რასაც ჰქვია ინტეგრაცია, თავშესაფარი და ასე შემდეგ, რაც საერთოდ ახასიათებს მიგრაციის პროცესებს. დღეისათვის შეიძლება ვთქვათ, რომ სერიოზული ძვრებია საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებით. მიღებულ იქნა მიგრაციის სტრატეგია, რომელიც გათვალისწინებულია 2013-15 წლებზე. სტრატეგიას მოსდევს საკმაოდ ვრცელი სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ორივე დოკუმენტმა გაიარა საერთაშორისო ექსპერტიზა და მოიცავს მიგრაციის სფეროს ყველა ასპექტს. ამასთან ერთად, საქართველო არის რამდენიმე საერთაშორისო პროცესის მონაწილე, ერთ-ერთია მიგრაციის და თავშესაფრის პანელის შეხვედრა, რომელიც აქ ტარდება, მეორეა პრაღის პროცესი, მესამე – ბუდაპეშტის პროცესი. ყველა ამ პროცესში საქართველო აქტიურად არის ჩართული, რაც აისახება ქართული მხარის შიდა პოლიტიკურ ნებაზე – დარეგულირდეს მიგრაციის პროცესები, – აღნიშნა ჯაშმა.

მისი თქმით, სამოქმედო გეგმაში საქართველოს ინტერესები ბევრი მიმართულებით არის ჩადებული და ყველა ტიპის ღონისძიება, რომელიც მიგრაციას ეხება, ევროკავშირისგან ფინანსდება. მთავარია, ქართულმა მხარემ აჩვენოს ის მზაობა, რასაც აჩვენებს კიდეც და აჩვენოს ის სტანდარტები, რასაც საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს მიგრაციის სფეროში. უპირველესად ეს კარგი იქნება ქვეყნისთვის.

დღეისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროინტეგრაცია და ქართული მხარე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში. სახელმწიფო კომისიის პრიორიტეტად არის აღიარებული ისიც, რომ საქართველოში დაინერგოს ინფორმირებული მიგრაციის ფენომენი, რაც გულისხმობს პოტენციური მიგრანტისა თუ იმიგრანტის ინფორმირებას, საზღვარგარეთ წასვლისას თუ რა პერსპექტივები ელის მას, რა არის მისთვის კარგი ან რა საფრთხეები შეიძლება ემუქრებოდეს. მან, ვინც ჩამოდის უკან სამშობლოში, უნდა იცოდეს, რეინტეგრაციისთვის საქართველოში რა ღონისძიებები ხორციელდება. რაც შეეხება იმიგრანტებს, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან, მათაც უნდა იცოდნენ ის, რა ელოდებათ საქართველოში, რა კანონმდებლობა აქვს ქვეყანას. აუცილებელია ასევე ადამიანის უფლებების დაცვა:

– პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მიგრანტებზე, ამაში ინფორმირებული ემიგრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო საკითხი, რაც ახლა ვითარდება საქართველოში, ცირკულარული მიგრაციის სქემაა, რომელიც საშუალებას მისცემს ქართველ ემიგრენტებს, ლეგალურად წავიდნენ საზღვარგარეთ, ლეგალურად იმუშაონ, ჰქონდეთ კონტრაქტები, რომლებიც მათ სოციალურ, ადამიანურ უფლებებს დაიცავს და სათანადოდ, ლეგალურადვე მოხდეს მათი ქვეყანაში დაბრუნება, – აღნიშნა გიორგი ჯაშმა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან სამადაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს არალეგალურად საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების გამოვლენა და დაბრუნება, ასევე სრულფასოვანი რეინტეგრაცია საზოგადოებაში. ევროკავშირთან ურთიერთობაში ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება და ვიზა-ლიბერალიზაციის ფონზე ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დღეისათვის არ არსებობს სარწმუნო სტატისტიკა არალეგალური მიგრაციის მასშტაბების შესახებ. თუმცა, ბევრი ქართველი იმყოფება საზღვარგარეთ არალეგალურად.

– მათი პრობლემა ის არის, საქართველოში დაბრუნების შემდეგ არ აქვთ საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობა. წლების განმავლობაში ცხოვრობენ საზღვარგარეთ, დეპორტაციის გზით ხვდებიან საქართველოში და ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, ქვეყანას ჰქონდეს ისეთი ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც ისინი ბედის ანაბარა კი არ ჩამოვლენ საქართველოში, არამედ მოხდება მათი გადამზადება, მიეცემათ სამუშაოს დაწყების საშუალება. ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები დაიწყება წელს. ევროკავშირი 6 პროექტის განხორციელებას აპირებს, რომლის მიზანი დაბრუნებული ქართველების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა იქნება, – გვითხრა სამადაშვილმა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ამ პროგრამების ამოქმედება ხელს შეუწყობს ბევრ ქართველ არალეგალს, რომელსაც საზღვარგარეთ არ გაუმართლა, საკუთარი ნებით დაბრუნდეს სამშობლოში:

– იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები მიდიან და აქვთ იმედი, რომ საზღვარგარეთ ფეხს მოიკიდებენ და კარგად იცხოვრებენ, წლების შემდეგ თუ ვერ პოულობენ საკუთარ თავს სხვა ქვეყანაში, ვერ ახერხებენ, ლეგალურად იცხოვრონ, ვერ ახერხებენ დაბრუნებასაც, რადგან აქაც არ ეგულებათ გზა, რომლითაც ნორმალურ ცხოვრებას შეძლებენ. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენთან იქნება ისეთი ცენტრები, ისეთი პროექტები, რომლებიც მათ ამის საშუალებას მისცემს, უფრო მარტივად დაბრუნდებიან საქართველოში, – გვითხრა სამადაშვილმა.

როგორც აღინიშნა, მალე შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიწყებს პროექტზე მუშაობას, რომლის ფარგლებში შეიქმნება იმიგრაციის მონაცემთა ბაზა, რასაც შემდეგში მოჰყვება უკვე ემიგრაციის საერთო ბაზის შექმნა.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „გზავნილის არჩაბარების გამო ადამიანმა ქონება დაკარგა“

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ საერთაშორისო კურიერული მომსახურების კომპანია „ტნტ-ს“ პროკურატურაში უჩივის.

უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ ამასთან დაკავშირებით გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ პროკურატურაში დოკუმენტები უკვე წარადგინა.

– საერთაშორისო კურიერული მომსახურების კომპანია „ტნტ-სთან“ დაკავშირებით დოკუმენტები შევიტანეთ, რადგან ბათუმში კერძო აღმასრულებელმა მაია ზოიძემ „ტნტ-ს“ საშუალებით ჩააბარა გზავნილები კონკრეტული პირისთვის გადასაცემად. აღნიშნული გზავნილების „ტნტ-ს“ მხრიდან იმ კონკრეტული პირისთვის არ ჩაბარების შემდეგ, აუქციონი ჩატარდა და მოხდა მოვალის ბინის გაყიდვა. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საფოსტო გზავნილები მთლად წესრიგში არ იყო, ვინაიდან გზავნილს არ ჰქონდა კურიერის ხელმოწერები.

ნიკოლოზ მჟავანაძის ეჭვს ასევე რამდენიმე მომენტი იწვევს. კერძოდ:

– ორი გზავნილი ერთსა და იმავე დღეს იყო გაგზავნილი, ერთსა და იმავე მისამართზე. ვთქვათ, თქვენ სადღაც აგზავნით წერილს, ან შეტყობინებას. ერთსა და იმავე მისამართზე, ერთი და იგივე შეტყობინება ორჯერ რატომ უნდა გააგზავნოთ. ხომ არის ამაში რაღაც აბსურდული? შეიძლება სხვადასხვა მისამართზე ერთ დღეს გააგზავნო, მაგრამ ერთსა და იმავე დღეს, ერთი და იგივე გზავნილი რომ გააგზავნო, ეს აბსურდულია.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, გზავნილები ერთი და იგივე შინაარსის იყო და სწორედ ეს ბადებს კითხვებს.

– ეს გზავნილები არ არის გატარებული ელექტრონულ ბაზაში, რაც დაგვიდასტურა ამ ფირმის ფილიალის ხელმძღვანელმა. შემდგომ ამ გზავნილებზე არ არის კურიერის ხელმოწერები. ესეც კიდევ დამატებითი ეჭვის საფუძველია. თან მოვალე, ვისაც უნდა ჩაბარებოდა ეს გზავნილები, იქვე იყო და, რეალურად, იქვე უნდა ჩაბარებოდა გზავნილი და არჩაბარების პრობლემა აღარ შეიქმნებოდა.

კონკრეტულად, ამ გზავნილზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ მისი არჩაბარების შემდგომ, ამ ადამიანმა დაკარგა 150 ათას დოლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონება. ეს იმის ბრალია, რომ მთლად წესრიგში არ არის ამ ფირმაში სიტუაცია.

ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ის შეეცადა ამ საერთაშორისო კურიერული ფირმის იურისტთან ჰქონოდა შეხვედრა და შეეცადა საკითხის გარკვევას და წერილობითი პასუხის მიღებას, მაგრამ ოფიციალურ პასუხზე უარი მიიღეს.

– „ტნტ-ს“ იურისტმა დაგვიდასტურა, რომ, რეალურად, აქ იყო რაღაც ეჭვის საფუძველი, შემდგომში ჩვენ წერილიც გავაგზავნეთ, რომ ამ შეცდომებთან დაკავშირებით (თუ რა შეიძლება დავარქვა ამას, არ ვიცი) თვითონ გააკეთებდნენ კომენტარს, მაგრამ გუშინ შემატყობინეს, რომ უარზე არიან, წერილობით გვიპასუხონ. თუკი ყველაფერი წესრიგში აქვთ და პრობლემა არ არსებობს, რატომ ეზარებათ წერილობითი პასუხის მოცემა? ამიტომ გუშინ პროკურატურაში მასალები შევიტანეთ და პოლიციაშიც დაიკითხებიან „ტნტ-ს“ ბათუმის თანამშრომლები.

– კონკრეტულად, რა გაინტერესებთ, პროკურატურამ რა უნდა დაადგინოს?



– მე ვუჩივი და შევიტანეთ მასალები პროკურატურაში საერთაშორისო კურიერული მომსახურების სააგენტოს თაობაზე. გვაინტერესებს, რა მოხდა ბათუმში. რეალურად, არავის ბრალს არ ვდებთ. რა მოხდა, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეიძლება ვთქვათ, რომ აქ არის დანაშაული, მაგრამ ძალიან ბევრი საეჭვო საკითხია გასარკვევი.

– კერძოდ, საეჭვო რა არის?

– კარგად მოგეხსენებათ, ამ საკურიერო მომსახურების სააგენტოთი ბევრი ადამიანი სარგებლობს. ხშირ შემთხვევაში ასეთმა ფაქტებმა შეიძლება დააზარალოს ადამიანები. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს საკითხი პროკურატურამ აუცილებლად უნდა გამოიძიოს. მათი საქმიანობის შედეგად ადამიანმა დაკარგა ძვირად ღირებული უძრავი ქონება. ასეთი გადაცდომა, დარღვევა, დანაშაული თუ გამოიკვეთა, უმკაცრესად უნდა იქნან დასჯილი კონკრეტული პირები. ეს გზავნილები ელექტრონულ ბაზაში არ არის, კურიერის ხელმოწერა არ აქვს, იქ იყო ადამიანი და არ ჩაბარდა, ერთსა და იმავე მისამართზე გაგზავნილია ორი წერილი სხვადასხვა სერიული ნომრებით. აღნიშნული საეჭვო გარემოებები თვითონაც დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული გზავნილები წესრიგში არ არის.

– „ტნტ-ს“ თანამშრომლებმა დაგიდასტურეს, რომ გზავნილები წესრიგში არ იყო?

– დიახ, კურიერული ფოსტის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ გზავნილებზე კურიერის ხელმოწერა უნდა ყოფილიყო. ამ გზავნილებზე დაყრდნობით აუქციონზე ბინა გაიყიდა. ეს არის ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი. ამაზე განგაში იმიტომ ავტეხეთ, რომ, რეალურად, თუკი დანაშაული მოხდა, ამას პროკურატურა დაამტკიცებს. ჩვენ გვინდა, მსგავსი პრეცედენტები არ მოხდეს და ბოლოს და ბოლოს გაირკვეს სიმართლე. თუმცა, რაღაც-რაღაცებში ეჭვი შემაქვს.

– ეჭვი რაში შეგაქვთ?

– ეჭვი მაქვს, რომ შეიძლება აქ დანაშაულს ჰქონდეს ადგილი.

– ვისი მხრიდან?

– თუ ვისი მხრიდან, ეს უნდა გაარკვიოს გამოძიებამ, რადგან ფაქტია, რომ ამ გზავნილებში ეჭვი შეაქვთ როგორც მოვალეს, ასევე „ტნტ-ს“ თანამშრომლებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ ისურვეს ჩვენთან თანამშრომლობა, რომ გავრკვეულიყავით სიტუაციაში.

# გიორგი ედიშერაშვილი ევროპის ჩემპიონია



55 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი ედიშერაშვილი ევროპის ჩემპიონია.

ქართველმა მსუბუქწონოსანმა პირველი წრეში აზერბაიჯანელ ნაშარ ალიევთან პირველი პერიოდი 1:2 დათმო, თუმცა შეხვედრის ბედი სათავისოდ შეატრიალა და მომდევნო ორ სეტში 1:0, 2:0 გაიმარჯვა.

მეოთხედფინალში ფრანგი ზოჰეირ ელ უარაქი ორ პერიოდში (1:0, 1:0) დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში რუს არტიომ გებეკოვს ასევე ორ პერიოდში მოუმთავრა საქმე – 1:0 5:2.

ფინალში ჩვენებურის მეტოქე ბელარუსი ვლადისლავ ანდრეევი იყო. პირველმა პერიოდმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა და ყველაფერი კენჭისყრამ გადაწყვიტა, სადაც სასურველი ფერი ბელარუს სპორტსმენს ამოუვიდა, რომელმაც მომგებიანი ქულა აიღო.

მეორე პერიოდში ბელარუსი სპორტსმენი პასიური ჭიდაობისთვის გააფრთხილეს და სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

გადამწყვეტ პერიოდში პირველი ქულის აღება ანდრეევმა მოახერხა, თუმცა ედიშერასვილმა იქვე გაუთანაბრა, რაც უპირატესობას ჩვენებურს აძლევდა. ბოლო წამებზე ბელარუსმა შეუტია, მაგრამ უშედეგოდ, მეტიც, ილეთის არასწორად გაპროტესტებისთვის ქულა ჩვენებურმა მიიღო და ევროპის ჩემპიონი გახდა.

მიშა ჟორჟოლიანი

## ნოდარ ხადურმა ორშაბათი მოქალაქეთა მიღების დღედ გამოაცხადა

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა მოქალაქეთა მიღების ოფიციალურ დღედ ორშაბათი გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა მოქალაქეთა მიღების ოფიციალურ დღედ ორშაბათი გამოაცხადა.

მინისტრთან შეხვედრის თხოვნით, ფინანსთა სამინისტროს ბოლო პერიოდში უკვე 200-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა.

მოქალაქეებთან შეხვედრა ყოველ ორშაბათს, 18:00 საათიდან გაიმართება, მიღება კი წინასწარი ჩაწერით წარმოებს“– ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა დასავლეთთან დაკავშირებით პრემიერის შეხედულებას ეთანხმება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 13 მარტიდან 20 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეხედულებას დასავლეთთან მიმართებაში – ეთანხმება.

კითხვაზე – „ეთანხმებით თუ არა პრემიერის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპელობა არ ნიშნას იმას, რომ საქართველოს ყველამ ჭკუა უნდა დაარიგოს,“ გამოკითხულთა 78,3 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 15,2 პროცენტმა კი საწინააღმდეგო მოსაზრება დააფიქსირა. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მონაწილეთა 6,5 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## ქართულ ბაზარზე კოლიბაქტერიებით დაბინძურებული კარაქი იყიდება

მომხმარებელთა ფედერაციამ ქართულ ბაზარზე რეალიზაციაში არსებული კარაქის კვლევა ჩაატარა.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 12 დასახელების პროდუქტიდან სამის, მათ შორის „ბახმაროსა“ და „გლეხურის“ შემადგენლობა არ შეესაბამებოდა ეტიკეტზე მითითებულ ნორმებს და ცხიმიანობის პროცენტულ მაჩვენებლებს. კარაქ „რჩეულის“ შემადგენლობაში კი „მომხმარებელთა ფედერაციამ“ ნაწლავური ინფექციების გამომწვევი კოლიბაქტერიები აღმოაჩინა.

„კარაქის პარტიის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ჩვენ გადავიხადეთ თანხა და შესყიდვის ადგილზე დავტოვეთ ერთი ნიმუში მწარმოებლისთვის, რათა მას ჰქონოდა შესაძლებლობა პარალელურ რეჟიმში ჩაეტარებინა ექსპერტიზა მისივე პროდუქციისთვის. ჩვენ არცერთი მწარმოებელი არ დაგვკავშირებია. ამიტომ ვიტოვებ ვარაუდს, რომ ისინი ჩვენს კვლევებს ეთანხმებიან“, – განაცხადა მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძემ.

„მომხმარებელთა ფედერაცია“ კვლევის შედეგებს შემდგომი რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს უგზავნის.

მედიანიუსი

# ელდარ შენგელაიას იუბილე თსუ-ში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი რეჟისორის ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილეს ქართველი საზოგადოება მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს. ამჯერად მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ, სადაც ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორებმა უნივერსიტეტის ფოიეში რეჟისორის კინოფილმების ფოტოგამოფენა მოაწყვეს. საიუბილეო საღამო თსუ-ის ბიბლიოთეკასთან არსებული კინოკლუბის, საქართველოს ქალთა საბჭოსა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა.

ელდარ შენგელაიას საიუბილეო თარიღი აღინიშნა საქართველოს თეატრის მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, სადაც წარმოდგენილი იყო გამოფენა „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და მასზე ელდარ შენგელაიას მიერ გადაღებული ფილმების გმირები იყო წარმოდგენილი.

რეჟისორს იუბილე მიულოცეს კოლეგებმა, მეგობრებმა, საქართველოს პრემიერ მინისტრმა და პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა იგი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა, თბილისის მერიამ – „ქართული კულტურის ამაგდარის“ დიპლომით, ხოლო კულტურის სამინისტრომ „ოქროს კამერა“ უსახსოვრა. გამოფენის გენერალურმა სპონსორმა კომპანია „ბილაინმა“ იუბილარ რეჟისორს ახალი თაობის მობილური აჩუქა, ბანკმა „კონსტანტამ“ მას ანგარიში გაუხსნა, რომელზეც ფილმის გადასაღებად საჭირო თანხა მოგროვდება. საჩუქრის გარეშე ელდარ შენგელაია არც ტურისტულ კომპანიას „გუდ თრეველმა“ დატოვა, მან რეჟისორი 500 ლარიანი ვაუჩერით დაასაჩუქრა. ელდარ შენგელაიას საჩუქრები გადასცეს კომპანია „კულამ“ და ეროვნულმა კინოცენტრმა, „ქართულმა ფილმმა“ კი მას მცირე ზომის ცათმფრენი უსახსოვრა. ხელოვნების სასახლის „უკვდავთა თაღში“ რეჟისორ ელდარ შენგელაიას ხელის ანაბეჭდის დაფა გაიხსნა.

თსუ-ისგან განსხვავებით, მისი საიუბილეო გამოფენა ხელოვნების სასახლის ექვსივე დარბაზში იქნა წარმოდგენილი. დარბაზებში გაცოცხლდნენ მისი კინოფილმების გმირები, წარმოდგენილი იყო რეჟისორის ყველაზე პოპულარული ფილმების ვიდეოინსტალაციები. იუბილარი კინორეჟისორი ავტორია გახმაურებული ქართულ ფილმებისა „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. ელდარ შენგელაია მუშაობდა კინოსტუდიაში „მოსფილმი“ კინორეჟისორად, ასევე



კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ კინორეჟისორად, არის საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, ორი წლის განმავლობაში იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ასევე სხვადასხვა წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე. ამჟამად საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა.

მისი პირველი ნამუშევარი კინოში არის „ლეგენდა ყინულის გულზე“, რომელსაც დაემატნენ „თოვლის ზღაპარი“, „თეთრი ქარავანი“, „მიქელა“ (ნოველა კინოალმანახზე „წარსულის ფურცლები“), „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ექსპრეს-ინფორმაცია“. მის კინოკარიერაზე გავლენა მშობლებმა რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ და მსახიობმა ნატო ვაჩნაძემ იქონიეს. ბავშვობიდან გადასაღებ მოედანზე გაზრდილმა ძმებმა ელდარ და გიორგი შენგელაიებმა კინოსამყაროში მუშაობა განიზრახეს და არაერთი დაუვიწყარი ფილმიც შექმნეს.

უკვე მეშვიდე წელია ელდარ შენგელაია კინოს აღარ გაკარებია, ამის მიზეზი მისი პირადი ტრაგედიაა – 2006 წელს კინორეჟისორს ქალიშვილი ელენე ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ამ ტრაგედიამ რეჟისორი რადიკალურად შეცვალა, უფრო ეკლესიური გახადა და კინოზეც უარი თქვა. ორიოდე წლის წინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ელდარ შენგელაია კინოს უბრუნდება და ამის ინიციატორი მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძეა. განხორციელდება თუ არა ელდარ შენგელაიასა და ბუბა კიკაბიძის ერთობლივი პროექტი, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა როგორც გამოფენაზე იუბილარმა ხელოვანმა განაცხადა, ის ორ ახალ ფილმზე მუშაობს და მალე ქართულ საზოგადოებას თავის ნამუშევრებს წარუდგენს, თუმცა ფილმების დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა. გამოფენის გახსნას თან ახლდა ფეიერვერკები და ტორტის გაჭრა, რომელსაც კინორეჟისორის სახელი და საიუბილეო თარიღი ოქროსფრად ამშვენებდა.

ელდარ შენგელაიას შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა დედის, სახალხო არტისტის ნატო ვაჩნაძის უნიკალური წერილების ასლები გადასცა. ამ ცერემონიას შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი და პოლიციის აკადემიის პრორექტორი ფრიდონ დიასამიძე დაესწრნენ.

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ელდარ შენგელაია ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობის შესახებ გამოსაცემად წიგნს ამზადებს. შსს-ს არქივის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ უნიკალური წერილები, რომელთაგან ერთ-ერთი ნატო ვაჩნაძემ ლავრენტი ბერიას მისწერა, ელდარ შენგელაიას წიგნში გამოსაქვეყნებლად გადასცეს. ეს წერილები აქამდე სრული სახით არასდროს გამოქვეყნებულა. ამ წერილებში, სახალხო არტისტი მის კარიერაში ხელოვნურად შექმნილ ბარიერებზე საუბრობს და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ კინოფილმის გადაღების დაჩქარებას ითხოვს, სადაც მას ეკატერინე ჭავჭავაძის როლი უნდა შეესრულებინა. ნატო ვაჩნაძე წუხს, რომ სამი წლის განმავლობაში როლი არ ჰქონია, რაც დიდ უსამართლობად მიაჩნია. წერილები რუსულ ენაზეა შედგენილი, ერთი ნაბეჭდია, მეორე კი – ხელნაწერი. პირველი წერილი კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბოლშაკოვისა და კინოსტუდიის დირექტორ ვლადიმერ მაჭავარიანის სახელზე, 1946 წლის 1 თებერვალს არის გაგზავნილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1946 წლით დათარიღებული საქმე, რომელშიც იმდროინდელი კულტურის მოღვაწეების მიერ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში (ცეკაში) გაგზავნილი წერილებია გაერთიანებული.

# შავფაროსნები რომის დაარსების ფესტივალზე გამოვლენ

ეკა ირემაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ საქართველოს სახელით, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მასშტაბურ ფესტივალზე „ნატალე დი რომა“ კიდევ ერთხელ მიიწვიეს.

როგორც „შავფაროსნების“ პრესსამსახურის წარმომადგენელი მარი ონეზაშვილი აღნიშნავს, ფესტივალი რომის დაარსებას ეძღვნება და უკვე რამდენიმე ათეული წელია იმართება. ამ ფესტივალის სანახავად რომში მთელი მსოფლიოდან ჩადიან ტურისტები.

– „შავფაროსნები“ წელს განსხვავებული სანახაობით წარსდგებიან და ქართული კულტურის რამდენიმე მიმართულებას წარადგენენ. „ნატალე დი რომა“ 2013-ზე „შავფაროსნებთან“ ერთად, ანსამბლ „ჩვენებურების“ წევრებიც გაემგზავრებიან. ხევსურულ სამოსსა და ქართულ ტრადიციულ აღჭურვილობაში გამოწყობილი ქართველი მებრძოლები, კოლიზეუმთან გამართული მსვლელობის შემდეგ, ცირკომასიმოს მოედანზე ტრადიციულ საბრძოლო საჩვენებელ წარმოდგენას ქართული მუსიკის თანხლებით გამართავენ. ქართული სიმღერის, ეროვნული სამოსისა და ტრადიციული საბრძოლო აღჭურვილობის გარდა, შავფაროსნებმა გადაწყვიტეს ფესტივალზე მებრძოლი ქართველი ქალის სახეც წარადგინონ, რადგან საქართველოში ლაშქრობის შემდეგ პომპეუსი ამბობდა, რომ ქართველებთან ბრძოლა ძნელია, ქალები და ბავშვებიც კი საუკეთესო მეომრები არიანო. ისტორიულ წყაროებშიც მოხსენიებულია, რომ პომპეუსს ქართველი ქალებიც ებრძოდნენ, – აღნიშნავს მარი ონეზაშვილი.

მისივე თქმით, ფესტივალის დროს რომის ცენტრალური ქუჩები იკეტება და ცირკომასიმოს მოედნიდან კოლიზეუმის გავლით, დიდი აღლუმი ეწყობა, სადაც ევროპის 15 ქვეყანა, თავის ისტორიულ სამოსს, საბრძოლო იარაღსა და ისტორიულ საბრძოლო ტრადიციებს წარადგენს. ამ დღეს რომის ქუჩებში მთელი ევროპის ისტორია ცოცხლდება, ჩნდებიან, ნიმფების, რომაელი სენატორებისა და დიდებულების სამოსში გამოწყობილი ადამიანები – გლადიატორები, ლეგიონერები, მითოლოგიურ პერსონაჟები და ა.შ.

– მსვლელობის დასრულების შემდეგ, ძველი რომის ნანგრევებთან, ცირკომასიმოს მოედანზე საბრძოლო წარმოდგენები იმართება, გლადიატორების ორთაბრძოლები, რომაელი ლეგიონერების შერკინებები, მათ შორის ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენა. ამ ფესტივალზე იმ ქვეყნებს იწვევენ, რომლებთანაც რომის იმპერიას ისტორიული კავშირი ჰქონდა. საქართველო გასულ წელს ღონისძიებაში პირველად იღებდა მონაწილეობას. განსხვავებულმა სამოსმა, აღჭურვილობამ და მთელი მსვლელობის მანძილზე გამართულმა საჩვენებელმა გამოსვლებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ფესტივალის მონაწილე ჯგუფებზე 15-მდე ქვეყნიდან, ასევე ფესტივალის ორგანიზატორებზე და სტუმრებზე. პირველი ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ფესტივალის ორგანიზატორებსა და ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას საკმაოდ მწირი ინფორმაცია ჰქონდა საქართველო-რომის ისტორიულ ურთიერთობებზე. საუკუნოვანმა ქართულმა სამოსმა და „შავფაროსნების“ მიერ დამზადებულმა იარაღმა განსხვავებული მუხტი შესძინა ფესტივალს, რაც აღნიშნული იყო ორგანიზატორების მიერ და ადგილობრივი მასმედიის საშუალებებშიც, რის გამოც „შავფაროსნების“ მიწვევამ ფესტივალზე ყოველწლიური ხასიათი მიიღო, – განაცხადა მარი ონეზაშვილმა.

რომში გამგზავრებამდე შავფაროსნებმა ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე საჩვენებელი პროგრამა და ის სიახლეები წარმოადგინეს, რის წარდგენასაც ისინი წელს გეგმავენ რომის დაარსებისადმი მიძღვნილ ფესტივალზე.

მარი ონეზაშვილის თქმით, ღონისძიებაზე „შავფაროსნები“ მეორედ არიან მიწვეული. 2012 წელს, წარმატებული და შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ საინტერესოდ იქნა მიჩნეული, რომ ქართული კულტურა და საბრძოლო ტრადიციები მიმდინარე წელსაც გაცნობოდა ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს.


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიზრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# თორნიკე ოქრიაშვილისთვის „არსენალი“ საუკეთესო მეტოქეა

უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგის 21-ე ტურში, თორნიკე ოქრიაშვილმა დუბლი შეასრულა. მისი „მსხვერპლი“ კიევის „არსენალი“ გამოდგა. აღსანიშნავია, რომ თორნიკეს უკრაინაში 3 ბურთი აქვს გატანილი და ყველა „არსენალის“ კარში. სწორედ ეს აღნიშნა ქართველმა ფეხბურთელმა უკრაინულ მედიასთან საუბარში, როდესაც „მეთოფეებს“ მისი გუნდი უწოდა.

**თორნიკე ოქრიაშვილი:**

– საქართველოს 19-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში 2 გოლი გამიტანია, მაგრამ არა უკრაინის პრემიერლიგაში. საერთოდ, აქამდე უკრაინის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გოლი მქონდა გატანილი, ისიც პირველ წრეში „არსენალისთვის“, ხოლო ამჯერად დუბლი შევასრულე. ასე რომ, „არსენალი“ „ჩემი“ გუნდია. მთავარი ეს არ არის, მთავარია, რომ „ილიჩივეცმა“ გაიმარჯვა. ჩვენ მე-6 ადგილზე ვართ. წინ სანაკრებო მატჩებია, ხოლო შემდეგ ვნახავთ რა, იქნება.

***– არადა, ჰეთ-თრიქის შესრულება შეგეძლოთ.***

– დიახ, იყო ასეთი მომენტი. შევჩუკმა დამიძახა, რომ ბურთი გამეტარებინა, ხოლო მას დარტყმა არ გამოუვიდა. მეც შემეძლო დარტყმა, მაგრამ იმ მომენტში ჰეთ-თრიქზე არ ვფიქრობდი. მთავარი იყო მოგვეგო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ გაიტანდა.

***– პენალტის დარტყმა თავად მოინდომეთ? თუ გუნდში წინასწარაა განსაზღვრული, პენალტი ვინ უნდა დაარტყას?***

– მე მოვინდომე. ვინც თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობს, ის ურტყამს. ვფიქრობ, მოედანზე ჩვენი შტატიანი პენალტისტი კოსტია იაროშენკო რომ ყოფილიყო, ის დაარტყამდა. იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამიტომ, პენალტი მე შევასრულე. კარგია, რომ გავიტანე.

***– პირველი გატანილი გოლის შემდეგ, საკუთარ ნახევარზე სპეციალურად „ჩაჯექით“?***

– პირიქით, გვსურდა, შეტევები გაგვეგრძელებინა. თუმცა, ისე მოხდა, რომ კუთხურის ჩაწოდების შემდეგ, გოლი მეტოქემ გაგვიტანა. მოწინააღმდეგეს გაუმართლა, რომ ჩვენი კარის შორეულ ძელთან დაზღვევაზე არავინ იდგა. მეც გამიმართლა, როდესაც მეორე შანსი მომეცა, გოლი გავიტანე და გავიმარჯვეთ.

# ყოფილი რეალელები იმუქრებიან

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რამდენიმე საინტერესო წყვილი გამოიკვეთა. განსაკუთრებულ ყურადღებას „ბაიერნისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება იწვევს. თუმცა, ასევე საინტერესო იქნება მადრიდის „რეალისა“ და თურქული „გალათასარაის“ ჯახიც.

ცხადია, ამ წყვილის ფავორიტი მადრიდული გუნდია, მაგრამ „გალას“ შემადგენლობაში ყოფილი რეალელები თამაშობენ და შეეცდებიან თავი ისე გამოიჩინონ, რომ ყოფილ გუნდს თავიანთი შესაძლებლობა დაუმტკიცონ.

**უესლი სნეიდერი:**

– კენჭისყრისას ჩვენ ურთულესი მეტოქე შეგვხვდა „რეალის“ სახით. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური მატჩი იქნება, მაგრამ ახლა მე „გალათასარაის“ ღირსებას ვიცავ და კონცეტრირებული მხოლოდ ახალ კლუბზე ვარ. მადრიდთან ძალიან თბილი და კარგი მოგონებები მაკავშირებს. ასევე მაქვს ძალიან ახლო და კარგი ურთიერთობა ჟოზე მოურინიოსთან დღემდე. განსაკუთრებული ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანია, რადგან მე მასთან ერთად მოვიგე ჩემპიონთა ლიგა. რა თქმა უნდა „რეალი“ სასიამოვნო მეტოქე არ არის, მაგრამ შესაძლოა ჩვენ მსოფლიო გავაოცოთ.

**ჰამით ალტინტოპი:**

– მოხარული ვარ კენჭისყრის შედეგით, ეს იქნება ულამაზესი მატჩი. თუ გადავხედავთ „რეალის“ ქმედებებს მიმდინარე სეზონში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ „იუნაიტედთან“ გაუმართლათ. თუმცა „ბლანკოსი“ დიდებული კლუბია და ამას ვერავინ უარყოფს. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე დიდი ბრძოლას გავმართავთ. მოხარული ვარ, რადგან ყოფილ თანაგუნდელებს და მოურინიოს კვლავ ვნახავ. მჯერა საკუთარი თანაგუნდელების. მათ აქვთ უდიდესი გამოცდილება და პოტენციალი იმისა, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისმიერ კლუბს. ჩვენ მადრიდში წასაგებად არ ჩავალთ.

# ძანეტი ინტერის რეკორდსმენია

მილანის „ინტერის“ უბერებელმა კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ კიდევ ერთი რეკორდით გაამდიდრა ისედაც თვალისმომჭრელი კარიერა: იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში საიუბილეო, მე-600 შეხვედრა ჩაატარა სერია აში!

– ხავიერ ძანეტი დიდი ფეხბურთელია და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ის ჩვენი კლუბის სიმბოლოა. მიხარია, რომ ინტერში თამაშობს ასეთი ძლიერი, საიმედო და საამაყო ფეხბურთელი, – განაცხადა მილანური კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

არგენტინელი მოთამაშის კარიერის დასრულებას მიმდინარე სეზონის ბოლოს გეგმავს და თუ გადაწყვეტილება არ შეცვალა, სავარაუდოდ, იტალიის სერია ა-ს საერთო რეკორდს ვერ გააუმჯობესებს – „მილანის“ ლეგენდარულმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ჩემპიონატში 647-ჯერ ითამაშა.

39 წლის ძანეტი, რომელიც 1995 წლიდან ასპარეზობს „ინტერის“ მაისურით, ოფიციალური მატჩების მიხედვით დიდი ხანია კლუბის რეკორდსმენია: ჩემპიონატში, თასზე და საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში 837-ჯერ მოირგო შავ-ლურჯი მაისური! ძანეტი არგენტინის ნაკრების რეკორდსმენიცაა – 145-ჯერ ითამაშა ქვეყნის პირველ გუნდში.

„ინტერთან“ ერთად ძანეტიმ 5-ჯერ მოირგო სერია ა, 4-4-ჯერ დაეუფლა იტალიის თასს და სუპერთასს, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი კი თითოჯერ მოიგო.

# უმედლოდ დაწყებული ევროპა



სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველი საშეჯიბრო დღე დასრულდა. ჩემპიონ-პრიზიორები სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ვაჟთა შორის 66 კილოგრამში გამართული შეჯიბრება სომეხმა დავიდ საფარიანმა მოიგო, ვინც ფინალურ ორთაბრძოლაში თურქ იაკუპ გორს აჯობა.

ფინალური შეხვედრის ორივე პერიოდი უქულოდ დასრულდა, ბურთულის ამოღებისას კი ორივეჯერ საფარიანს გაუმართლა, ვისაც მიღებული უპირატესობის გამოყენება არ გასჭირვებია – 1:0, 1:0. 96-კილოგრამში ოქროს მედლისთვის უკრაინელი პავლო ოლეინიკი და პოლონელი სტანისლავ სკასკიევიჩი დაეჭიდნენ. გამარჯვება ოლეინიკს დარჩა.

უკრაინელმა ფალავანმა დამაჯერებლად 1:0, 4:0 გაიმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა. 48 კილოგრამში ჩატარებული ქალთა ევროპირველობა კი რუსმა ვალერია ჩეპსარკოვამ მოიგო, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბრიტანელ იანა სტადნიკს 1:0, 1:0 სძლია და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ქართველებიდან ევროპირველობაზე ორი მოჭიდავე ჩაება ასპარეზობაში და ორივე მათგანმა იმედები გაგვიცრუა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში კონსტანტინე ხაბალაშვილმა პირველ რაუნდში ალბანელ ვილსონ გრეჟონს 2 სეტში აჯობა. მისი მომდევნო მეტოქე კი რუსი ილიას ბეკბულატოვი იყო, რომელთანაც ქართველი ფალავანი ასევე 2 სეტში, მაგრამ უშანსოდ – 1:4, 0:1 დამარცხდა.

ელიზბარ ოდიკაძე, რომელიც 96 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, პირველ წრეში ბელარუს ივან ივანკოვსის დაუპირისპირდა და 2:1, 1:0 მოუგო. ჩვენებური მეორე წრეში რუს ვლადისლავ ბაიცაევს დაეჭიდა, რომელთანაც თითქმის არ უჭიდავია, რითიც კარგად ისარგებლა მეტოქემ და ქართველს სპორტსმენს გაფრთხილებების ხარჯზე ოფლის დაუღვრელად მოუგო.

ოდიკაძეს და ხაბალაშვილს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი იმ შემთხვევაში დარჩებოდათ თუ ვლადისლავ ბაიცაევი და ილიას ბეკბულატოვი ფინალში გასვლას მოახერხებდნენ. სამწუხაროდ, ორივე მათგანი, ნახევარფინალში დამარცხდა და ჩვენი ფალავნებისთვის ტურნირის პირველი დღე უმედლოდ დასრულდა.

ფინალური შეხვედრების დაწყებამდე კი თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართა. ცერემონიალი ანსამბლ „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნით დაიწყო, შემდეგ კი სპორტის სასახლეში შეკრებილ გულშემატკივრებს, ტურნირში მონაწილე სპორტსმენებსა და ოფიციალურ სტუმრებს – ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ცენო ცენოვმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ნენად ლაზოვიჩმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიმართეს.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი გამოსვლის დასასრულს ევროპის ჩემპიონატი გახსნილად გამოაცხადა. ამის შემდეგ სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრების და სტუმრების წინაშე მრავალფეროვანი ნომრით ანსამბლი „ერისიონი“ წარდგა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა კი ვეტერან მოჭიდავეებს გურამ საღარაძეს და ლევან თედიაშვილს იუბილე მიულოცა და სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა.

### პირველი დღის შედეგები

**ვაჟები**

**66 კგ:** 1. დავიდ საფარიანი (სომხეთი); 2. იაკუპ გორი (თურქეთი); 3. ალექსანდრ კონტოიევი (ბელარუსი); 3. ილიას ბედბულატოვი (რუსეთი);

**96 კგ:** 1. პავლო ოლეინიკი (უკრაინა); 2. სტანისლავ სკასკიევიჩი (პოლონეთი); 3. ლუბენ ილიევი (ბულგარეთი); 3. ვლადისლავ ბაიცაევი (რუსეთი);

**ქალები**

**48 კგ:** 1. ვალერია ჩეპსარკოვა (რუსეთი); 2. იანა სტადნიკი (დიდი ბრიტანეთი); 3. ფატიმა ბაგომედოვა (აზერბაიჯანი); 3. ჟაკლინ შელინი (გერმანია).

# შენგელიას მოკრძალებული წვლილი

თორნიკე შენგელიამ ნბა-ს განვითარების ლიგაში ითამაშა და „სპრინგფილდ არმორის“ გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო. ქართველ ფორვარდს ისეთი შთამბეჭდავი მაჩვენებლები არ ჰქონია, როგორც „დ“ ლიგაში ჩატარებულ წინა 6 მატჩში, თუმცა შენგელიას გამოსვლას დამაჯერებელი ეთქმის.

აღმოსავლეთ დივიზიონში ბოლო ადგილზე მყოფი „არმორი“ მეორეადგილოსან „ბეი ჰოუქსს“ ხვდებოდა. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 32,21 წუთი გაატარა. შენგელიამ 13-დან 6 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. საბოლოოდ შენგელიამ 17 ქულა, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

სპრინგფილდელთა შორის საუკეთესო ტაიშონ ტეილორი გახდა, რომელიც შენგელიასთან ერთად მოგზაურობს „ბრუკლინ ნეთსიდან“ „არმორში“ და პირიქით. ტეილორმა 31 წუთში 30 ქულა, 7 პასი, 4 მოხსნა და 4 ჩაჭრა მოაგროვა. 19 ქულა ჰქონდა კრის ჯოზეფს, სპრინგფილდელებმა კი მეტოქე 102:96 დაამარცხეს და სეზონში მე-17 გამარჯვება მოიპოვეს.

მომდევნო მატჩს „არმორი“ სპრინგფილდში, დღეს, ცენტრალური დივიზიონის წარმომადგენელ „ოსტინთან“ გამართავს.

# საქართველოს პარიზში წვიმა დახვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი ვარჯიში და მთავარი მწვრთნელების – დიდიე დეშამისა და თემურ ქეცბაიას პრესკონფერენციებია დაგეგმილი.

როგორც იცით, საქართველოს ნაკრებში გამოძახებულია ფრანგული „ლე მანის“ მეკარე გიორგი მაკარიძე, რომელსაც იქაური მედიის წარმომადგენლები გაესაუბრნენ.

**გიორგი მაკარიძე:**

– საქართველოს ნაკრები ტურისტის როლში არ ჩამოსულა პარიზში. ჩვენ ბევრი ფეხბურთელი გვყავს, რომლებმაც ბურთთან ურთიერთობა კარგად იციან. შესაძლოა, მათ საფრანგეთში კარგად არ იცნობენ, მაგრამ მათი ფასი კარგად იციან რუსეთსა და უკრაინაში. საქართველოს ნაკრებს გამართული ფეხბურთის თამაში შეუძლია. ასე რომ, საქართველო სან მარინო არაა. ვიცით, რომ ჯგუფიდან გასვლა ურთულესი რამ არის. ვთამაშობთ, რათა განვვითარდეთ და ჩვენი შესაძლებლობები ვაჩვენოთ. ფრე მშვენიერი შედეგი იქნება, გამარჯვება – უკეთესი. ჩვენი მიზანი მესამე ადგილზე გასვლაა. როცა ჯგუფში ესპანეთი და საფრანგეთი გყავს, სხვა მიზნის დასახვა რთულია.

# 25 რეკორდი ლიონელ მესის შესრულებით

ლიონელ მესი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ჩემპიონთა ლიგაზე „მილანთან“ მატჩში გატანილი დუბლის წყალობით, არგენტინელმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. წარმოგიდგენთ მესის მიერ დამყარებულ რეკორდების ჩამონათვალს.

„ბარსელონას“ მაისურით ყველა ტურნირში გატანილი 306 გოლით ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც 300-ზე მეტი გოლის გატანა მოახერხა „ბარსაში“;

„ბარსელონას“ მაისურით ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში 209 გოლი;

ჩემპიონთა ლიგაზე 58 გოლი ;

ევროპულ საკლუბო ტურნირებზე 59 გოლი;

საერთაშორისო საკლუბო ტურნირებზე 63 გოლი;

„ბარსას“ მაისურით შესრულებული 22 ჰეთთრიკი;

ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში შესრულებული 16 ჰეთთრიკი;

ესპანეთის ჩემპიონატის ერთ სეზონში შესრულებული 8 ჰეთთრიკი;

პირველი ფეხბურთელი, რომელმაც „კამპ ნოუზე 150 მეტი ბურთი გაიტანა“

ესპანეთის ჩემპიონატის წლიურ გათამაშებაში გატანილი 50 ბურთი;

ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ ჩატარებული 17 შედეგიანი მატჩი;

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც შეძლო ესპანეთის ჩემპიონატში 200-ზე მეტი გოლის გატანა;

ესპანეთის სუპერთასზე გატანილი 10 ბურთი;

კალენდარულ წელში გატანილი 91 გოლი;

კლუბში სეზონში გატანილი 73 გოლი;

ყველაზე ახალგაზრდა უცხოელი, რომელმაც „ელ კლასიკოში“ გაიტანა – 19 წლის და 259 დღის!

„ელ კლასიკოში“ ალფრედო დი სტეფანოს გატანილი გოლების რეკორდს იყოფს – 18;

დენილსონისა და მუხამედ აბუტრიკოს კლუბების საერთაშორისო ჩემპიონატზე გატანილი გოლების რეკორდს იყოფს – 4;

ხოსე ალტაფინთან ერთად იყოფს რეკორდს ჩემპიონთა ლიგის ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით – 14;

გერდ მიულერთან ერთად იყოფს რეკორდს ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულების რიცხვის მიხედვით – 4;

კიდევ 10 ფეხბურთელთან ერთად იყოფს რეკორდს ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გატანილი გოლების მიხედვით – 5;

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა – 18 წლის და 348 დღის (მსოფლიო ჩემპიონატი – 2006, არგენტინა-სერბეთი);

გაბრიელ ბატისტუტასთან ერთად იყოფს რეკორდს ერთ კალენდარულ წელში ეროვნული ნაკრების მაისურით გატანილი გოლების მიხედვით – 12;

ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც 4-ჯერ აქვს „ოქროს ბურთი“ მოპოვებული.

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ასკოლი-რეჯინა | 0:3 |
| ბარი-პადოვა | 3:0 |
| კროტონე-ვიჩენცა | 1:0 |
| ლანჩანო-ვერონა | 1:2 |
| მოდენა-ემპოლი | 2:3 |
| პრო ვერჩელი-ბრეშა | 2:3 |
| ტერნანა-გროსეტო | 0:0 |
| ჩეზენა-ლივორნო | 0:0 |
| ჩიტადელა-სპეცია | 0:0 |
| იუვე სტაბია-სასუოლო | 1:1 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| გაზელეკი-შატორუ | 1:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დანდალკი-სლიგო | 1:3 |
| დერი-დროჰედა | 1:1 |
| ლიმერიკი-უკ დუბლინი | 3:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ორლანდო | 95:73 |
| მილუოკი-პორტლენდი | 102:95 |
| ოკლაჰომა-დენვერი | 104:114 |

## შედეგები

**ჩოგბურთი**

**აშშ. მაიამი**

| | |
|---|---|
| სელა-სოზა | 5:7;6:3;6:0 |
| როხუსი!ო.-კაპდევილიე | 7:6;6:3 |
| როჯერ– ვასელინი-დე ბაკერი | 3:6;4:6 |

**ვტა. მაიამი**

| | |
|---|---|
| ტატიშვილი-ბერტენსი | 0:6;0:6 |
| დატე კრუმი-სჰეპერსი | 6:2;6:0 |
| პეტკოვიჩი-იოვანოვსკი | 6:3;6:1 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ფლორიდა | 1:4 |
| კოლამბუსი-ნეშვილი | 4:3 |
| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 2:3 |
| მონრეალი-ბუფალო | 2:3(ოტ) |
| პიტსბურგი-ვაშინგტონი | 2:1 |
| ვინიპეგი-ბოსტონი | 3:1 |
| ვანკუვერი-სენტ ლუისი | 3:2 |
| ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 3:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გიორგი ყორღანაშვილს მომღერლების ეხმარებიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მედო გამოფენა-გაყიდვა ახალგაზრდა მსახიობის სიცოცხლის გადასარჩენად. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ქართველი მხატვრების გია გუგუშვილის, გია ბუღაძის, თორნიკე აბულაძის, ლევან აბრამიშვილის, ლეილა კიკნაძის, კარლო კაჭარავას, ქეთი მატაბელის ტილოები. აქცია სამხატვრო აკადემიის თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო.

გალერეა „არტ ავენიუში“ დღესაც იმართება საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილია ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ხელნაკეთი ხატები, ულამაზესი ხელნაკეთი და მინანქრის სამკაულები. სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გვერდით ბავშვთა ნახატებიც არის წარმოდგენილი.

სტუდია „ბერიკებმა“ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად ჩაატარა ნიკო გომელაურის ხსოვნის საღამო, სადაც მოგროვილი თანხა მთლიანად მსახიობის ფონდში გადარიცხა. თავისუფალ თეატრში მსახიობებმა ითამაშეს სპექტაკლი „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“, რომელიც ასევე საქველმოქმედო იყო და გიორგი ყორღანაშვილს მიეძღვნა.

მომღერალმა ლელა წურწუმიამ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გამოუშვა ალბომი და მისი პრეზენტაცია მოაწყო კლუბში „ურბანი“. მოგროვილი თანხა გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად გადაირიცხა.

შარდენზე მოეწყო ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა და მოგროვილი თანხა გიორგი ყორღანაშვილის ფონდში გადაირიცხა. აქციის მონაწილეები ქართველი ფოტოგრაფები იყვნენ. საქველმოქმედო აქციაზე ფოტოგამოფენა მოეწყო და ადგილზე მიმდინარეობდა ფოტოების გადაღება.

წიგნის მაღაზიაში „დიოგენე“ დაიგეგმა საქველმოქმედო საღამო, რომელშიც მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს მერაბ მებო ნუცუბიძემ და ალექსანდრე ლორთქიფანიძემ. პოეზიას პლუს მუსიკა – ასე უწოდეს მათ ღონისძიებას, რომელზეც დასასწრები ბილეთის ფასი 20 ლარით განსაზღვრეს და მთლიანად გიორგი ყორღანაშვილს მიუძღვნეს.

ლექსების კრებულის პრეზენტაცია, მუსიკალური ჯგუფის პრეზენტაცია, პოეზიის საღამო და სიმღერის პრემიერა რესტორაცია „დივანში“ მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად გაიმართა. საღამოს ორგანიზატორები პოეტები – ნინა ნეკერი და ლიკა ჭელიძე იყვნენ. სიმღერა, რომლის პრემიერაც საღამოს შედგა, ნინა ნეკერის ლექსზე შეიქმნა, ხოლო მუსიკა პროფესიით რეჟისორმა გიორგი ლობჟანიძემ დაწერა. რაც შეეხება „ფოლკ-როლს“, როგორც ერთ-ერთმა პროდიუსერმა განაცხადა, ჯგუფი სულ სამი თვეა რაც შეიკრიბა, მასში რვა წევრია, აქედან შვიდი ბიჭი და ერთი გოგონა. წიგნის ავტორმა ლიკა ჭელიძემ კი აღნიშნა, რომ წიგნი რეალურად რედაქტორის გარეშე გამოიცა და ამან განაპირობა მისი სახელწოდებაც „რედაქტორის გარეშე“.

მუსიკისა და დრამის თეატრმა წარმოადგინა ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის ბალეტი „კარმენი“ და სპექტაკლის შემოსავალი გადარიცხა გიორგი ყორღანაშვილის ფონდში. რუსთაველის თეატრმა ახალგაზრდა მსახიობის დასახმარებლად შეარჩია სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“ და წარმოდგენა ქველმოქმედებისთვის გაითამაშა.

სპექტაკლი გიორგი ყორღანაშვილის მხარდასაჭერად

21 მარტს სამეფო უბნის თეატრში გიორგის მეგობრებში სპექტაკლს „სტრიპტიზი“ ითამაშებენ და ბილეთებიდან მოგროვილ თანხას გიორგის სიცოცხლის გადასარჩენად გადარიცხავენ.

24 მარტს აქციაში ჩაერთვება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი და წარმოადგენს ზურა გეწაძის სპექტაკლს „მელოტი მომღერალი ქალი“, რომელიც ახალგაზრდა მსახიობის დასახმარებლად გათამაშდება. კინომსახიობთა თეატრმა გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად უნდა ითამაშა სპექტაკლი „სუფთა სახლი“. როგორც თეატრის ხელმძღვანელი ზურა გეწაძე აცხადებს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ახალგაზრდა კოლეგას სიცოცხლის შენარჩუნებაში დაეხმარონ.

23 მარტს კინომსახიობთა თეატრში ნიკა წულუკიძე გამართავს თავისი წიგნის პრეზენტაციას „ყველაფერი მეორე მეორადი არ არის“, რომელიც თეატრის კვლევის ცენტრის მიერ გამოიცა. წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე გადაირიცხება.

24 მარტს თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ ლევ ტოლსტოისმოთხრობისმიხედვით. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი. პროექტის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ და თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი.

სპექტაკლში მონაწილეობენ ვალერი ხარიუტჩენკო, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი (საქართველოს დამსახურებული არტისტი), აპოლონ კუბლაშვილი, მარიამ კიტია, სანდრო მარგალიტაშვილი, ნინა კალატოზიშვილი, მედეა მუმლაძე, ვასილ გაბაშვილი, დიმიტრი მერაბიშვილი და სხვა მსახიობები.

– სპექტაკლიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა გიორგი ყორღანაშვილს, რომელსაც ძვლის ტვინის გადანერგვა ესაჭიროება. ბილეთის ფასი კი 5 ლარია. გთხოვთ მობრძანდეთ და გადავარჩინოთ გიორგის სიცოცხლე ერთად, – მოუწოდებს გრიბოედოვის თეატრი მაყურებელს.

24 წლის მსახიობის მეგობრების თქმით, კომპანია მაგთიკომმა მათ სასიამოვნო სიურპრიზი გაუკეთა. სპეციალურად გიორგის გადასარჩენად გახსნილ ნომერზე 09-01-800-804 მაგთის აბონენტებისგან შესული თანხა აღარ დაიბეგრება. გარდა ამისა, კომპანიამ დამატებით 10.000 ლარი გადარიცხა გიორგის დასახმარებლად.

– მაგთი მოუწოდებს სხვა კომპანიებს, არ დაბეგრონ საქველმოქმედო ნომერი. მას უკვე მიბაძა ბილაინმა და ჯეოსელმა და მოხსნა ბეგარა. გვჯერა, რომ თუკი არ ვიქნებით გულგრილნი სიცოცხლის გადასარჩენად, ყველაფერი გამოვა. ძალიან ბევრი საქველმოქმედო სპექტაკლი, გამოფენა-გაყიდვა, კონცერტი თუ აქცია იმართება, ვისაც როგორ შეგვიძლია ისე დავეხმაროთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მის გადასარჩენად. სამწუხაროდ, დრო ძალიან ცოტაა, მაქსიმუმ ორი კვირა. მას უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს თუ ამ პერიოდში პროცედურა არ დაიწყება, მერე ველარაფერს უშველიან, ორ კვირაში მინიმუმ 150.000 დოლარი უნდა შეგროვდეს, რომ გიორგიმ მკურნალობა დაიწყოს, თორემ მერე უკვე გვიან იქნება. გვჯერა, არავის გიჭირთ ისე რომ 1 ლარი არ გქონდეთ! მეგობრებო ძალიან გთხოვთ, მთელი გულით, ადამიანის სიცოცხლეზე ვლაპარაკობთ, ეს ხომ ხუმრობა არ არის. თანაც ძალიან კარგი ადამიანის სიცოცხლეზე, თუ ოდნავი თანაგრძნობა გაგაჩნიათ დარეკეთ ერთხელ მაინც. ჩათვალეთ რომ თქვენს ერთ ზარზეა დამოკიდებული იცოცხლებს თუ მოკვდება ადამიანი, ასეც არის და ნუ გაიმეტებთ ამ ბავშვს სიკვდილისთვის, – ამბობენ გიორგის მეგობრები.

მისი კოლეგები ყუთებით ხელში დადიან დიდ სავაჭრო ცენტრებში და აგროვებენ თანხას გიორგის გადასარჩენად. მაკა მახარაძე და ნატო მურვანიძე დიდი დიღმის გუდვილშიც იმყოფებოდნენ. ნატა მურვანიძე მარჯანიშვილის თეატრთანაც დგას ყუთით ხელში და გიორგის სიცოცხლისთვის თანხას აგროვებს. თბილისი მოლში მისი კოლეგები და მეგობრებიც დადიან ყუთებით, რომ საჭირო თანხა მოაგროვონ

როგორც გიორგი ყორღანაშვილის მეგობრებმა განაცხადეს, 31 მარტს ფილარმონიაში დაგეგმილია საქველმოქმედო აქცია-მარათონი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები, მსახიობები, ქორეოგრაფიული ანსამბლები და ყველანი ერთად მოუწოდებენ საქართველოს გადაარჩინონ ახალგაზრდა მსახიობი. ყველა თეატრი კვლავაც გააგრძელებს საქველმოქმედო სპექტაკლების თამაშს, მოეწყობა გამოფენა-გაყიდვები, ქუჩის მსვლელობა „მოძრაობის თეატრთან“ ერთად.

თბილისის მერიამ 24 წლის მსახიობის გადასარჩენად 50.000 დოლარი გამოყო

– ახლა უკვე იმედი გვაქვს, რომ სრული თანხის შეგროვებას მოვახერხებთ საერთო ძალისხმევით, – აცხადებენ მსახიობის მეგობრები.

გიორგი ყორღანაშვილის მძიმე მდგომარეობას აქტიური გამოხმაურება მოყვა სოციალურ ქსელებშიც. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ქართველებმა სხვადასხვა ღონისძიებები ჩაატარეს და გიორგის დასახმარებლად თანხა შეაგროვეს. ოსლოში მცხოვრებმა ქართველებმა ქუჩაში გამოფინეს ტრანსფარანტები, სადაც მოსახლეობას დახმარებისკენ მოუწოდეს.

როგორც ირკვევა, 3-დან 18 მარტის პერიოდში გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად 117.237 დოლარია შეგროვილი. მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების მსახიობს ესაჭიროება სასწრაფო მკურნალობის კურსი და შემდგომში რთული ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა, რომელიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თანხა კი 400.000 დოლარს შეადგენს.

# ინტეგრირებული ქორეოგრაფია თბილისშია

ეკა ირემაშვილი

**ინტეგრირებული ქორეოგრაფია დიდი ბრიტანეთიდან უკვე თბილისშია. მათი წარმოდგენები 21 და 22 მარტს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე იქნება წარმოდგენილი. მთლიანობაში ბრიტანელი ხელოვანები სამ სპექტაკლს გაითამაშებენ და ერთ ფილმს წარმოადგენენ.**

მარჯანიშვილის თეატრის ცნობით, დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება „სეტ ენდ რესეტ/რესეტ“ (ქორეოგრაფი ტრიშა ბრაუნი), „ეტიუდები დო მაჟორში“ (ქორეოგრაფი ხავიერ დე ფრუტოსი) და „ნაკლული ქარიშხალი“ (ქორეოგრაფი ვენდი ჰიუსტონი“). მოეწყობა ფილმის „გარედან შიგნით“ ჩვენება, რომლის რეჟისორიც მარგარეტ უილიამსია.

ბრიტანელი ხელოვანების გასტროლი საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით იმართება.

– ქორეოგრაფიული კომპანია კანდოკო არის თანამედროვე ცეკვის ლიდერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოცეკვავეებისთვის. სელესტ დანდეკერი და ადამ ბენჯამენი არიან კანდოკოს დამაარსებლები 1991 წლიდან. მათ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგეს სრულიად უცნობ სფეროში, რითაც დაამტკიცეს, რომ შეზღუდული შესაძლებლიბები არ არის და არც უნდა ჩაითვალოს ნაკლად. დღეს-დღეობით კანდოკო აგრძელებს ქორეოგრაფიული მიმართულებისათვის სახის ცვლას, ვინაიდან ქმნის

გაბედულ სპექტაკლებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ მრავალფეროვნება და შესაძლებლობას უქმნის მოცეკვავეებს კარიერის ყველა ეტაპზე. 28-29 იანვარს ბრიტანეთის საბჭოსა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი ძალისხმევით ქორეოგრაფიულმა კომპანიამ კანდოკო ჩაატარა ვორქშოფი თეატრებისა და ქორეოგრაფიული კომპანიების წარმომადგენლებისთვის – მმართველებისთვის, პროდიუსერებისთვის, რეჟისორებისთვის, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მოცეკვავეებისთვის, ყველასთვის, ვისაც აინტერესებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა და მათთან მუშაობა, მათი ჩართვა ნორმალურ ცხოვრებისეულ საქმიანობაში. რა თქმა უნდა მოწვეული გვყავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ხელოვანებიც. ასე რომ, ქორეოგრაფიული კომპანია კანდოკო არის თანამედროვე ცეკვის ლიდერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოცეკვავეებისთვის. კომპანია მაყურებელსაც და მონაწილეებსაც უქმნის შესანიშნავ და სიღრმისეულ გამოცდილებას, რომელიც გვაღელვებს და ამავე დროს აფართოვებს ხელოვნებისა და ადამიანის შესაძლებლობების შესახებ ჩვენს წარმოდგენებს და რომლის ყურადღების ცენტრში საკუთრივ ადამიანი და მასთან თანამშრომლობაა. ამჯერად 20-22 მარტს კომპანია „კანდოკო“ თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გამართავს სპექტაკლებსა და ვორქშოფებს, – აცხადებენ საქართველოს ბრიტანეთის საბჭოში.

# ნინი შერმადინი თბილისს ემშვიდობება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიუზიკლისთვის „კაბარე“. ბროდვეის შესარჩევ ტურზე ნინი შერმადინი სოსო თოლორაიას წყალობით მოხვდა, სადაც თავად სოსოც მონაწილეობდა. მომღერალმა ამ ყველაფერს თავისი ოცნების ასრულება დაარქვა და მომავალში არაერთ შესარჩევ ტურში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

მაშინ ნინი შერმადინს გამოსამშვიდობებელი საღამო ორჯერ მოუწყვეს, ერთხელ ძმამ და მეგობრებმა „ვიაიპი ბერმუხაში“, ხოლო მეორედ – კლუბში „კლიკი“. მის გვერდით ყოველთვის არიან უახლოესი მეგობრები, რომლებიც ნინის წარმატებით მხოლოდ და მხოლოდ გახარებულები არიან.

ნინის ცხოვრებაში იყო ნიუ იორკის მოდის კვირეულიც, სადაც ქართველი მომღერალი დიზაინერ ფატუნა ბუშიჰედის წყალობით მოხვდა. სწორედ ნინის ხვდა პატივი ნიუ იორკის მოდის კვირეულის გახსნაზე ემღერა და თანაც არც მეტი, არც ნაკლები უიტნი ჰიუსტონის ცნობილი ჰიტი შეესრულებინა.

მის ახლო წარსულში იყო ერთი წარუმატებელი გამოსვლა – ევროვიზია 2012, სადაც მან ანრი ჯოხაძეს ვერიკო ტურაშვილთან, ნინო ძოწენიძესა და მაგდა ჯოხაძესთან ერთად ბექვოკალისტობა გაუწია. გასულ წელს მოხდა ისე, რომ საქართველო ნახევარფინალშიც კი ვერ გადავიდა, თუმცა ამას ნინისთვის ხელი სულაც არ შეუშლია, რომ ფარ-ხმალი დაეყარა და მუსიკალურ კარიერაზე აღარ ეფიქრა.

როგორც ამერიკის შორეულ გზაზე დამდგარმა მომღერალმა განაცხადა, ის ფაქტი, რომ ნიუ იორკის მოდის კვირეულზე იმღერა, მისთვის დიდი პლუსია, რადგან მომავალში ამერიკელი საზოგადოების წინაშე პირველად არ მოუწევს გამოსვლა და თანაც, მაშინ ნიუ იორკის მოდის კვირეულზე მის გამოსვლას შეკრებილი საზოგადოება დიდი ოვაციებით და მოწონებით შეხვდა. ნინი შერმადინს სჯერა, რომ მისი მონდომება აუცილებლად შედეგიანი იქნება და ქართველი მომღერალი სულ მალე მიაღწევს წარმატებას.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სიცილიური, ტკბილი სადესერტო ღვინო; 2. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. პატარა, ხუჭუჭბეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. მართლმადიდებელთა წმინდა წიგნი; 12. სამხრეთ აფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 16. ისტორიული სასტუმრო გაგრაში; 17. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 19. უძველესი აკადემია კახეთში; 20. საცხოვრებელ სახლზე მიშენებული ღია აივანი.

**თარაზულად:** 6. ექიმბაშის ძველი სახელწოდება; 7. დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელი; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის, ცეცხლგამძლე თიხა; 11. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. ძველი სპარსელი პოეტი, ფილოსოფოსი; 21. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ნალჩიკი; 2. უაიტჰოლი; 3. ბაჩანა; 4. ზევსი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 11. კენი; 13. ტარიბანა; 14. ორძელი; 16. ლოსიონი; 18. ბანჯო; 20. ქოცო.

**თარაზულად**: 6. ნაფტუსია; 7. აგასფერი; 8. მანტია; 9. დიუმა; 10. დოლომანი; 11. კონკლავი; 15. კარაბინერი; 17. საღამო; 19. ლენქორანი; 21. ჰამსუნი; 22. იაკიტორია; 23. კორპუსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. დიუპონი; 2. კრევეტი; 3. ვირტუოზი; 4. ბეკინა; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. ბანკროტი; 12. ტრავერსი; 13. ლეპტოპი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. სტრიტი; 20. ბუზუკი.

**თარაზულად**: 6. დითირამბი; 7. სევილია; 8. პეტეფი; 10. ზოსტერა; 11. ყავა; 14. კვესტურა; 15. ვაპორეტო; 18. ახმეტა; 21. ტაპიორი; 22. ბურჟე; 23. იდიოტი; 24. დიპლიპიტო.

**ფსორიაზისგან განვიკურნე**

**ფსიორიაზის გამო 8 წელი სისტემატურად ვმკურნალობდი. ყველა საშუალება ამოვწურე როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთში, მაგრამ შედეგად მხოლოდ დროებით შვებას ვიღებდი. ბოლოს ახლობელმა მირჩია ჯულიეტა ფურცელაძის მალამოთი მემკურნალა, რომლის წყალობითაც სრულიად გავთავისუფლდი ამ საშინელი დაავადებისგან. 2 წელი გავიდა, რეციდივი არ მქონია. შეგიძლიათ თამამად ენდოთ მრავალი პრაქტიკის შედეგად შეჯერებულ ფურცელაძის უნიკალურ მალამოს, რომელიც უმოკლეს დროში კურნავს ასევე ფრჩხილის სოკოს, სებორეას, ნეიროდერმიტს, ეგზემას და კანის სხვა დაავადებებს.**

**ჯულიეტა ფურცელაძის ტელეფონებია:**
**223-87-18; 599-576-857; 790-334-171.**

# „ფოლცვაგენი“ ჩინეთიდან 384 ათას ავტომობილს იწვევს



გერმანულმა ავტოკონცერნმა „ფოლცვაგენმა“ ჩინეთიდან 384 ათასი ავტომობილის გამოწვევის შესახებ გამოაცხადა. აღნიშნულის მიზეზი გადამცემთა კოლოფთან დაკავშირებული პრობლემა გახდა. ეს კომპანიის ისტორიაში ავტომობილების უმსხვილესი გამოწვევაა.

გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ჩინეთის სახელმწიფო ტელეარხზე ამ პრობლემის შესახებ გავიდა გადაცემა. ჩინეთში ავტოკომპანიის წარმომადგენლის თქმით, პრობლემის შესახებ მანამ იცოდნენ, სანამ ტელეეთერში გამოაცხადებდნენ.

იანვარში კონცერნმა 2012 წელს რეკორდული გაყიდვების შესახებ გამოაცხადა. ამ წელს მთლიანად 9 მილიონი ავტომობილი გაყიდეს, რაც წინა წელთან შედარებით 11%-ზე მეტია.

სააქციო საზოგადოება ფოლცვაგენი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ევროპის უდიდესი ავტომწარმოებელია, სათავო ოფისით ვოლფსბურგში, ქვემო საქსონია. ევროპაში ყოველი მეხუთე მსუბუქი ავტომობილი ფოლცვაგენია. ფოლცვაგენის გარდა კონცერნს ეკუთვნის აუდი, ბენტლი, ბუგატი, ლამბორჯინი, სეატი, შკოდა.

ფირმა დაარსდა 1937 წელს ადოლფ ჰიტლერის პირდაპირი დავალებით. ის კონსტრუქტორებისგან ითხოვდა გერმანული ოჯახისათვის იაფი სახალხო მანქანის (გერმანულად ფოლცვაგენი) შექმნას. 1939 წელს ქარხანა უკვე მზად იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო ის სამხედრო წარმოებაზე ისე გადაერთო, რომ ავტომობილების წარმოება არც დაუწყია. მხოლოდ 1946 წელს გამოუშვეს პირველი „ხოჭო“, 1955 წელს კი მემილიონე მანქანის გამოშვება იზეიმეს.

1960 წელს შპს ფოლცვაგენი სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და აქციები გაიყიდა. 1964 წელს ფირმამ დაიმლერ-ბენცისგან აუდის ქარხანა შეიძინა. 1972 წელს ფოლცვაგენმა 15.007.034 „ხოჭოს“ გამოშვებით მოხსნა ფორდ ტ-ს რეკორდი.

1973 წელს ფოლცვაგენმა პირველი „პასატი“ გამოუშვა, 1974 წელს კი – „გოლფი“. 1975 წელს გამოუშვეს პირველი თაობის „პოლო“, ხოლო 1978 წლიდან ჯეტა. 1980 წელს გერმანიაში „ხოჭოს“ გამოშვება დასრულდა, მაგრამ მექსიკის ქარხანაში მისი წარმოება კიდევ დიდხანს გაგრძელდა. 1981 წელს გამოვიდა მეოცმილიონე „ხოჭო“ (ბოლო ეგზემპლარი კი 2003 წლის 30 ივლისს გამოუშვეს და ის იყო 21.529.464-ე „ხოჭო“ , რაც ერთი მოდელისთვის მსოფლიო რეკორდია). 1981 წელს მეორე თაობის „პოლო“ გამოუშვეს ბაზარზე. 2007 წელსააწყეს 25 მემილიონე „გოლფი“.

# მალიში ფრანგ მძევალს თავი მოკვეთეს



„ალ ქაიდას“ ჩრდილოეთ აფრიკის დანაყოფმა მალიში ფრანგი მძევლის ფილიპ ვერდონის მოკვლის შესახებ განაცხადა. ამას „როიტერი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, „ალ ქაიდამ“ 2011 წელს მძევლად აყვანილ ფრანგს 10 მარტს თავი მოკვეთა.

„ალ ქაიდას“ განცხადებით, ვერდონი სიკვდილით საფრანგეთის მალიში ინტერვენციის გამო დასაჯეს. ის ერთ-ერთი იყო იმ ორი ფრანგი მძევლიდან, რომელიც ექსტრემისტებმა 2011 წლის ნოემბერში გაიტაცეს.

გავრცელებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაჯგუფებას კიდევ შვიდი ფრანგი მძევალი ჰყავს აყვანილი.

ისლამისტური დაჯგუფების განცხადებით, ვერდონი ფრანგი ჯაშუში იყო, ხოლო დანარჩენი მძევლების სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას საფრანგეთის პრეზიდენტს, ფრანსუა ოლანდს აკისრებენ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა განცხადება, რომ ყველაფერს აკეთებენ ფრანგი მძევლების გასათავისუფლებლად.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი მალის კონფლიქტში 11 იანვრიდან ჩაერთო. ფრანგი სამხედროები, სხვა ქვეყნების სამხედროებთან ერთად, ქვეყნის მთავრობას ჩრდილოეთ ნაწილის ისლამისტი შეიარაღებული მებრძოლებისაგან გათავისუფლებაში ეხმარებიან.


# სამგლოვიარო განცხადებები

სააქციო საზოგადოება „საქკოოპტრანსის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე საზოგადოების გენერალური დირექტორის

**იოსებ (სოსო) ლომთათიძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

მურად დეკანოსიძე, გელა მარგველაშვილი და შალვა ჭავჭავაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი

**იოსებ (სოსო) ლომთათიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# ისრაელში ობამას საპროტესტო აქციებით შეხვდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავისი სამდღიანი ვიზიტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ისრაელით დაიწყო. ეს მისი პირველი ვიზიტია ისრაელში, შეერთებული შტატების პრეზიდენტის რანგში. ობამას გრაფიკი წუთობრივად არის გაწერილი. გეგმაში სამი გადამწყვეტი თემაა: ირანის ბირთვული პროგრამა, სიტუაცია სირიაში და პალესტინა-ისრაელის დიალოგის განახლება.

ვიზიტის ფარგლებში ობამა მოლაპარაკებებს გამართავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ბენიამენ ნეთანიაჰუსთან და ისრაელის პრეზიდენტთან შიმონ პერესთან.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ობამასთვის, პრეზიდენტის რანგში, ეს პირველი ვიზიტია, თუმცა წმინდა მიწაზე ის 2008 წელს უკვე იყო სენატორის რანგში. ცნობილი ებრაელი ამერიკანისტის, პროფესორ ეიტან გილბოას განცხადებით, ობამა ისრაელში ისეთი რთული ამოცანების გადაჭრას შეეცდება, როგორიცაა ირანის ბირთვული პროგრამის საფრთხე და ებრაელების და პალესტინელების მოლაპარაკების მაგიდასთან მიწვევა. ისრაელი აშშ-ის პრეზიდენტისგან გადამწყვეტ ქმედებებს ელოდება ირანთან მიმართებაში.

ამასობაში, ისრაელის პრეზიდენტის კანცელარიასთან საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა, რომლის მონაწილეებიც ობამასგან ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო-სამხედრო ძალების ოფიცრის, ჯონათან პოლარდის გათავისუფლებას ითხოვენ, რომელიც ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობაშია ბრალდებული. პროტესტის მონაწილეებმა საკუთარ პრეზიდენტის ისიც მოსთხოვეს, რომ ობამას ჩამოართვას ისრაელის უმაღლესი ჯილდო – „თავისუფლების ორდენი“, რომელიც ობამას გარდა, სხვა ამერიკელ პრეზიდენტს არასდროს მიუღია.

ისრაელში ვიზიტამდე ორი დღით ადრე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოუწოდა ირანს, დაუყონებლივ გადადგას დამარწმუნებელი ნაბიჯები ქვეყნის ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების მისაღწევად. ვიდეომიმართვაში ნოვრუზის დღესასწაულთან დაკავშირებით, ობამამ განაცხადა, რომ თუ ირანი გადადგამს დამარწმუნებელ ნაბიჯებს, ირანელი ხალხი ნახავს აშშ-სთან და სხვა ერებთან სავაჭრო ურთიერთობების უპირატესობას.

გასულ კვირას ობამამ კვლავ განაცხადა, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნის უფლებას არ მისცემს და დასძინა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უმთავრესია თეირანზე დიპლომატიური ზეწოლის გაძლიერება.



„ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ ეს კონფლიქტი მხოლოდ დიპლომატიური გზით უნდა გადაიჭრას. ირანი ირწმუნება, რომ კვლევა ბირთვულ სფეროში მშვიდობიან ხასიათს ატარებს, მაგრამ მსოფლიო მათ ამაში ვერ დაარწმუნეს. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა, მოახდინონ ამის უფრო რეალური დემონსტრირება“, – აღნიშნა ბარაკ ობამამ.

თავის მხრივ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ირანი ახლოსაა „წითელი ზოლის“ გადალახვასთან და ბირთვული იარაღის შექმნასთან. მან არ გამორიცხა, რომ ისრაელმა ირანზე პრევენციული დარტყმები განახორციელოს.

როგორც ცნობილია, დასავლური სახელმწიფოები და ისრაელი შიშობენ, რომ ატომური კვლევები თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას ემსახურება. ირანი უარყოფს ამ ეჭვებს და ირწმუნება, რომ პროგრამა მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისთვისაა შექმნილი და მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

# „ნატოს ჯარები სირიაში სამხედრო ოპერაციისთვის მზად არიან“

აუცილებლობის შემთხვევაში ნატოს ჯარები სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებისთვის მზად არიან. ამის შესახებ განცხადება ევროპაში ნატოს შეიარაღებული



ძალების სარდალმა, გენერალმა ჯეიმს სტავრიდისმა გააკეთა.

„სირიაში არსებული სიტუაცია თანდათანობით უარესდება. მოკლულია 70 ათასი ადამიანი, მილიონი ადამიანი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა, 2,5 მილიონმა ადამიანმა კი საკუთარი სახლები მიატოვა. ჯერჯერობით სასტიკი სამოქალაქო ომის დასრულების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს. ალიანსმა ასეთი პოზიცია დაიკავა: იმოქმედოს ისეთი თანმიმდევრობით, როგორც ის ლიბიის შემთხვევაში მოქმედებდა“, – განაცხადა სტავრიდისმა.

როგორც გენერალმა აღნიშნა, ლიბიის სამხედრო ოპერაციას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რეგიონული და ალიანსის 28 ქვეყნის შეთანხმება უძღოდა წინ.

„ნატოს არხებით, ჩვენ სირიასთან საზღვრის დაცვაზე ვართ ორიენტირებულნი. სწორედ ამისთვის განვათავსეთ სარაკეტო კომპლექსი პატრიოტი. განიხილება ოპერაციის შესაძლებლობათა ფართო ვარიანტები და ჩვენ მზად ვართ, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სიტუაციაში ჩავერიოთ, როგორც ეს ლიბიის შემთხვევაში იყო“, – აღნიშნა სტავრიდისმა.

„არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სირია სამოქალაქო ომში ქიმიურ იარაღს იყენებს, თუმცა ჯერ ამის საბოლოო დადასტურება უნდა მოხდეს“, – აღნიშნულის შესახებ აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელმა მაიკ როჯერსმა „სი-ენ-ენს“ განუცხადა.

„ჯერ საბოლოოდ უნდა დადასტურდეს, თუმცა წელიწადნახევარში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მე მივედი დასკვნამდე, რომ ისინი ან ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებენ და მზად არიან ამისათვის, ან მათ უკვე გამოიყენეს ეს იარაღი“, – აღნიშნა როჯერსმა.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დენის მაკდონოუს თქმით, „თუ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაცია დამტკიცდა, ეს თამაშის ცვლილებას ნიშნავს და ჩვენ შესაბამისად ვიმოქმედებთ“.

ამ ფონზე, ლიბანის ტერიტორიაზე სირიიდან ხუთი ჭურვი ჩამოვარდა. ერთი დღით ადრე კი, ქვეყნის პრეზიდენტმა მიშელ სულეიმანმა მეზობელი ქვეყანა გააფრთხილა, რომ სირიის მხრიდან დარტყმები ქვეყნის სუვერენიტეტის მიუღებელი დარღვევაა.

თვითმხილველების თქმით, ჭურვები სოფელ ალ-ქასრთან ახლოს ჩამოვარდა, რომელიც სირიის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

ლიბანი ამ დრომდე ცდილობდა სირიაში არსებული კონფლიქტისაგან თავი შორს დაეჭირა, თუმცა ლიბანის მოქალაქეები შიშობენ, რომ მათი ქვეყანა მეზობელი ქვეყნის კონფლიქტში ჩათრევის საფრთხის წინაშე დგას. ლიბანის პოლიტიკოსები გაყოფილი არიან სირიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

სირიიდან ჭურვები რამდენჯერმე მეზობელ თურქეთის ტერიტორიაზეც ჩამოვარდა, რასთან დაკავშირებითაც თურქეთმა, ნატოს დახმარებით, სირიის საზღვართან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „პატრიოტი“ განალაგა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 21 მარტი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ანტიკური მსოფლიო„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „AGVA - GEORGIA„ 18.00 ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ატლანტა„ (ტიტ.) 02.20 დ/ფ „ მშვიდობით ამხანაგებო„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 5 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ჯარისკაცები„ (დ.ლუნდგრენი) 00.15 მხ/ფ „ცუდი სიზმრები„ (გ.პელტროუ) (ტიტ.) 01.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.35 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.00 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „ვარძია„ 11.05 დოკ/ფ „ორაგულის ბედი„ 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „წმინდა ოთხთავი„ IV ნაწ. 13.25 კონცერტი - ქართული მუსიკის ფესტივალი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი - შავლეგ შილაკაძე „ლოცვა„ 17.05, 19.20, 01.00 ანდრია კრიტელის კანონი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.40 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20 შაბათის სახარების განმარტება 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მარხვის კარიბჭესთან 23.30 დოკ/ფ „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.50 დოკ/ფ „ჯიხეთი,დედათა მონასტერი„

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 11.30, 22.00, 1.20 „ყოველდღიური აბები„ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6616 |
| ევრო | 2,1528 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5152 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3789 |

**ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის**





## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!







22 თებერვლიდან იყიდება **პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან **მესამე ტომი**

5 მარტიდან **მეოთხე ტომი**







**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი 21 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – თავს ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ. **კურო** – არ გაფლანგოთ ფული, ცოტა შემოინახეთ. **ტყუპები** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, გილოცავთ! **კირჩხიბი** – დიდი სიხარული და სიყვარული გელით. **ლომი** – შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, ნატვრაც აგიხდებათ! **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი თავბრუს დაგახვევთ. **სასწორი** – შეიცვალეთ აზრები, უფრო თანამედროვე გახდით. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, გაერთეთ. **მშვილდოსანი** – კითხვები გაწუხებთ, ეძებეთ და პასუხებს იპოვით. **თხის რქა** – შხვედრაზე არ დაიგვიანოთ, გაკვირდებიან. **მერწყული** – საჩუქარი და ახალი ამბავი გელით. **თევზები** – ყური მიუგდეთ ოჯახის წევრების რჩევას, საქმე გამოსწორდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ფერადი ლაზერის გამომგონებელი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. ტანსაცმლისა და თეთრეულის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმე ციკლის განვითარების პროცესი; 14. აფრიკული გარეული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი;

**თარაზულად:** 6. ჩანჩქერი აფრიკაში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. იტალიელი დიქტატორი; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ძმარმჟავას მარილი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## გიორგი ყორღანაშვილს მომღერლებიც ეხმარებიან

ეკა ირემაშვილი

24 წლის ახალგაზრდა მსახიობს გიორგი ყორღანაშვილს ეხმარებიან. მას სასწრაფოდ ესაჭიროება ძვლის ტვინის გადაუდებელი ოპერაცია. ამასთან დაკავშირებით მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები იმართება.

მსახიობებს და გიორგის კოლეგებს მომღერლებიც შეუერთდნენ და 22 მარტს კლუბში 33ა




ალტერნატიული მუსიკის კონცერტს გამართავენ. მასში მონაწილეობას მიიღებენ აუტსაიდერი, ზურგი, ზეტ ფორ ზულუ, ლენდმარკი, ქორდო, მი ენდ მაი მანკი, კანჩელი, კუნგ ფუ ჯანკი, მწვანე ოთახი, ლედი ჰეროინ, ბაკურ ბურდული და სალომე კორკოტაშვილი. ბილეთის ფასი 5 ლარია და მთელი თანხა გიორგი ყორღანაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად გადაირიცხება.

ზუგდიდის თეატრში უკვე გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლი, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა. ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად გადაირიცხა. „შუაღამის თავისუფლება" ეს სპექტაკლი წარმოადგინა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულმა თეატრმა. ლიკა მოლარიშვილის პიესის მიხედვით სპექტაკლი რეჟისორმა ბადრი წერედიანმა დადგა და მასში ასახულია, თუ როგორ გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის ფასად 13 წლის აფხაზმა გოგონამ ქართველი კინორეჟისორი.

საქველმოქმედო სპექტაკლისთვის ემზადება გორის თეატრიც. 25 მარტს გაიმართება ხათუნა ბედელაძის სპექტაკლის „ჰიპი პრემიერა", ბილეთებიდან გაყიდული თანხა მთლიანად გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე გადაირიცხება.

თიბისი გალერეში გაიმართა საქველმოქ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## საქართველოს პარიზში წვიმა დახვდა



საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა წლის პირველი ოფიციალური მატჩისთვის მზადება არასრული შემადგენლობით, 18 მარტს პარიზში დაიწყო. ვარჯიშის პირველ დღეს, მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში სულ 13 ფეხბურთელი იყო. 19-ში ნაკრებმა უკვე 23-კაციანი შემადგენლობით ივარჯიშა. გუნდს გუშინ შეუერთდა აკაკი ხუბუტია, რომელიც სავიზო საკითხების მოსაგვარებლად თბილისში იმყოფება და უკვე სრული შემადგენლობით ჩაატარა ვარჯიში.

ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ბოლო ორი ვარჯიში წვიმიან ამინდში გამართა. 19-ში საქართველოს ნაკრების ვარჯიში საათ-ნახევარს გაგრძელდა. ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და 22 მარტის მატჩისთვის სრული დატვირთვით ემზადება.

რაც შეეხება გუშინდელ ვარჯიშს, „ჯვაროსნები" საწვრთნელი პროცესი მუნიციპალიტეტის სტადიონზე გამართეს. დღეს კი, „სტად დე ფრანსზე" ორივე გუნდის ოფიციალუ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ნინი შერმადინი თბილისს ემშვიდობება

მომღერალი ნინი შერმადინი თბილისს ემშვიდობება. ამის მიზეზი მისი ამერიკაში გადასვლა გახდა. 22 მარტს სითი კლუბში მომღერალი თბილისთან და მეგობრებთან გამოსამშვიდობებელ კონცერტს გამართავს. ნინი თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა და სულ მალე უკან, შორეულ ამერიკაში ბრუნდება.



ნინი შერმადინი სხვადასხვა ქართული კონკურსების, იურმალას „ახალი ტალღის", ბერძნული ექსფაქტორის მონაწილეა. ნინიმ ბერძნულ კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა. ამჯერად მომღერალს აქვს ჯანსაღი ამბიცია ბროდვეიზე განხორციელებულ მიუზიკლებში მიიღოს მონაწილეობა.

სითი კლუბში ნინი შერმადინი მეგობრებთან ერთად მივა, დაუვიწყარ საღამოს გამართავს და უახლოეს ადამიანებთან ერთად მაქსიმალურად გაერთობა. გამოსამშვიდობებელი საღამოს წამყვანი თამუნა მუსერიძე იქნება. მის უახლოეს მეგობრებთან ერთად იქნება ამერიკიდან რამდენიმე დღით დაბრუნებული ტელეწამყვანი სოსო თოლორაია, რომელმაც ამერიკაში ნინი შერმადინი შეიფარა.

ქართველი მომღერალი ამერიკაში სწორედ სოსო თოლორაიასთან და მის მეუღლესთან ცხოვრობს. ის ამჟამად საქართველოში სწავლობს კიდეც. ნინი საქართველოდან გასული წლის ნოემბერში წავიდა. მან მონაწილეობა მიიღო შესარჩევ ტურში

გაგრძელება მე-10 გვერდზე